პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 37 (11648)
შაბათი
13
თებერვალი
1960 წ.

ფასი 20 კაპ.

## სკკპ ცენტრალურ კომიტეტში მიიღეს გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დელეგაცია

11 თებერვალს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა საუბარი გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დელეგაციასთან.

საუბარში მონაწილეობა მიიღეს: სკკპ ცენტრალური კომიტეტის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრებმა, ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა ამხანაგებმა მ. ა. სუსლოვმა და ო. ვ. კუუსინენმა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრმა ამხ. ბ. ნ. პონომარიოვმა; გერმანიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან — გერმანიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. მაქს რაიმანმა და გერმანიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებმა ამხანაგებმა კარლ ზომერმა, ტომას ვეგენერმა და ოტო ბაუმანმა.

საუბრის მსვლელობაში, რომელიც გულთბილ და მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, მოხდა აზრთა ურთიერთგაზიარება მშვიდობისა და დემოკრატიისათვის ბრძოლის აქტუალურ საკითხებზე. დადასტურდა, რომ ორივე პარტიის შეხედულება მშვიდობისა და დემოკრატიისათვის, გერმანიის მილიტარიზმისა და რევანშიზმის და ატომური იარაღით დასავლეთ გერმანიის შეიარაღების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში სავსებით ემთხვევა ერთმანეთს. გერმანიის კომპარტიის ბრძოლა ამ [illegible] მიზნების მიღწევისათვის, მისი ღონისძიებანი მუშათა კლასის მოქმედების ერთიანობის დასამყარებლად და მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების შესაკავშირებლად, მისი მისწრაფება ლეგალობის აღდგენისადმი სრულ გაგებასა და აღიარებას პოულობს სკკპ მხრივ.

# მშვიდობისა და მეგობრობის ვიზიტი

## ნ. ს. ხრუშჩოვი დელიში ჩავიდა

**დელი,** 11 თებერვალი. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს ინდონეზიაში მიმავალი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი ინდოეთის მთავრობის მოწვევით ხანმოკლე ვიზიტით დელიში ჩამოვიდა.

ნ. ს. ხრუშჩოვს ახლავან სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ნ. ა. მიხაილოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გ. ა. ჟუკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ტ. უ. ულჯაბაევი, აზერბაიჯანის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი ტ. ა. ტაიროვა, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კოლეგიის წევრი ა. მ. მარკოვი და სხვა პირები.

საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით მორთულ პალამის აეროდრომზე საპატიო საბჭოთა სტუმრებს შეხვდნენ ინდოეთის პრეზიდენტი რაჯენდრა პრასადი, ვიცე-პრეზიდენტი სარვაპალი რადჰაკრიშნანი, პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ, ცენტრალური მთავრობის მინისტრები, პარლამენტის დეპუტატები, დელიში არსებული საბჭოთა დაწესებულებებისა და ორგანიზაციების თანამშრომლები სსრ კავშირის ელჩის ი. ა. ბენედიქტოვის მეთაურობით, ინდოეთში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, ინდოეთის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ადგილობრივი და უცხოელი ჟურნალისტები.

აეროდრომზე რაჯენდრა პრასადმა და ნ. ს. ხრუშჩოვმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს. ინდოეთის პრეზიდენტი რაჯენდრა პრასადი გულთბილად და გულითადად მიესალმა ნ. ს. ხრუშჩოვს.

## პრეზიდენტ პრასადის სიტყვა

მე დიდ სიხარულს მანიჭებს, გულითადად მოგესალმოთ თქვენ, თქვენო აღმატებულებავ, ინდოეთის ხალხისა და მთავრობის სახელით და პირადად ჩემი სახელით. მას შემდეგ, რაც პატივი მქონდა მენახეთ ჩვენს წრეში ოთხი წლის წინათ, მე მოუთმენლად — კიდევ უფრო ძლიერ პირადი კონტაქტის გამო — ველოდი თქვენს ამ მეორე ვიზიტს.

მე კმაყოფილებით აღვნიშნავ, რომ ამ წლების მანძილზე ორივე ჩვენი ქვეყანა კიდევ უფრო დაუახლოვდა ერთმანეთს. ჩვენს თანამშრომლობას ეკონომიკისა და სამრეწველო განვითარების დარგში უკვე ნაყოფი მოაქვს.

მაგრამ ამ თანამშრომლობაზე ნაკლები მნიშვნელობა როდი აქვს ჩვენს საერთო მიდგომას საერთაშორისო პრობლემებისადმი, განსაკუთრებით ქვეყნებს შორის მშვიდობის შენარჩუნების საკითხისადმი. ნება მიბოძეთ მოგახსენოთ, რომ იმ როლს, რომელსაც საბჭოთა კავშირი ამ უკანასკნელ ხანს ასრულებს ამასთან დაკავშირებით თქვენი აღმატებულების ხელმძღვანელობით, ყველგან ერთსულოვნად იწონებენ. სულით და გულით გისურვებთ წარმატებას ყველა ამ ღონისძიებაში.

თუმცა ამჯერად თქვენი აღმატებულების ვიზიტი ხანგრძლივი არ არის, მაგრამ ჩვენ მადლობელი ვართ, რომ შესაძლოდ მიიჩნიეთ დათანხმებულიყავით ჩვენს მოწვევაზე. ნება მიბოძეთ ერთხელ კიდევ მოგესალმოთ ჩვენს ქვეყანაში და გისურვოთ სასიამოვნოდ და ბედნიერად გაგეტარებინოთ დრო თქვენს აქ ხანმოკლე ყოფნის მანძილზე.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა.

## ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო!
პატივცემულო ბატონო პრემიერ-მინისტრო!
ძვირფასო მეგობრებო!

ნება მიბოძეთ ყველა თქვენგანს გულწრფელი მადლობა გადავუხადო გულთბილი, გულითადი შეხვედრისათვის. ჩვენ დიდი მადლობელი ვართ ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ბატონ ნერუსი, რომელმაც თავაზიანად მოგვიწვია კვლავ ჩამოვსულიყავით თქვენს შესანიშნავ ქვეყანაში. ბედნიერი ვარ, რომ შესაძლებლობა მაქვს პირადად გადმოგცეთ თქვენ და თქვენი სახით ინდოეთის ხალხსა და მთავრობას საბჭოთა კავშირის ხალხისა და მთავრობის მხურვალე, მეგობრული სალამი.

როცა ოთხი წლის წინათ პირველად დავადგი ფეხი ინდოეთის მიწას, ბატონმა ნერუმ მაშინ თქვა, გეოგრაფიულად ინდოეთი და საბჭოთა კავშირი თითქმის მეზობლები არიანო. მას შემდეგ არცთუ ისე დიდი ხანი გასულა. მაგრამ საბჭოთა კავშირმა და ინდოეთმა ამ შედარებით მოკლე ვადაში რა მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს წინ ჩვენს ხალხებს შორის ძმური მეგობრობისა და თანამშრომლობის კავშირის შემდგომი განმტკიცების გზაზე.

თუმცა მანძილი, რომელიც საბჭოთა კავშირსა და ინდოეთს ჰყოფს, იგივე რჩება, მაგრამ წლითიწლობით იზრდება და მტკიცდება ძალა, რომელიც ანგარიშს არ უწევს არავითარ მანძილს. ეს ძალაა საბჭოთა ხალხისა და ინდოელი ხალხის ურთიერთ მისწრაფება ორივე ქვეყანას შორის სრული ურთიერთგაგების დამყარებისადმი, ჩვენს ხალხებს შორის მეგობრობის განმტკიცებისა და განვითარებისადმი. ახლა ჩვენ შეგვიძლია დიდი კმაყოფილებით ვთქვათ, რომ ინდოეთი და საბჭოთა კავშირი მარტო მეზობლები როდი არიან. ისინი კარგი მეზობლები და დიდი მეგობრები გახდნენ.

როგორც ცხოვრებაში ხდება ხოლმე, კარგი მეზობლები ისე ვერ იცხოვრებენ, თუ ერთმანეთს სტუმრად არ ეწვივნენ ხოლმე. იგივე შეიძლება ითქვას ჩვენსა და თქვენს ურთიერთობაზე. ამას წინათ თქვენთან იყვნენ ჩემი მეგობრები კ. ე. ვოროშილოვი, ფ. რ. კოზლოვი და ე. ა. ფურცევა, რომლებმაც აქ გულითადი, მეგობრული მიღება ჰპოვეს და სასარგებლო შეხვედრები და საუბრები ჰქონდათ ინდოეთის ხელმძღვანელ მოღვაწეებთან. მოხარული ვარ, რომ ახლა შესაძლებლობა მომეცა შევხვდე ინდოეთის ხელმძღვანელებს.

იმედი გვაქვს, რომ ჩვენს ვიზიტებს თქვენთან მოჰყვება საბჭოთა კავშირში ინდოეთის სახელმწიფო მოღვაწეთა ვიზიტები, რომელნიც ჩვენში ყოველთვის პოულობდნენ და კვლავაც ჰპოვებენ გულთბილ და გულითად მიღებას. საბჭოთა ადამიანები დიდი პატივისცემით ეპყრობიან ინდოეთის გამოჩენილ ხელმძღვანელებს. ჩვენ ვაფასებთ მათ იმის გამო, რომ მათ კარგად ესმით, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრობას და ჩვენს საერთო ბრძოლას ყველა ხალხს შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებისათვის.

თქვენ იცით, რომ ამ უკანასკნელ ხანს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო მოღვაწეები საკმაოდ ხშირად მიემგზავრებიან სხვადასხვა ქვეყანაში. თავიანთ მხრივ ბევრი ქვეყნის სახელმწიფო მოღვაწეები ჩამოდიან ჩვენთან, საბჭოთა კავშირში. ჩვენ ყოველნაირად ვუჭერთ მხარს პირადი კონტაქტების გაფართოებას საბჭოთა კავშირისა და სხვა ქვეყნების სახელმწიფო მოღვაწეებს შორის უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ ეს კონტაქტები ჩვენს დროში საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებისა და სახელმწიფოთა შორის ურთიერთგაგების განვითარების ერთ-ერთი ქმედითი საშუალება გახდნენ.

ჩვენ განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის რესპუბლიკის სახელმწიფო მოღვაწეებს შორის პირადი კონტაქტების შემდგომ განმტკიცებასა და განვითარებას. ამ კონტაქტების გაფართოებას უკვე მოჰყვა ნაყოფიერი შედეგები ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთგაგებისა და მეგობრობის გაღრმავებისათვის, პოლიტიკურ, ეკონომიურ, მეცნიერულ და კულტურულ დარგებში, საბჭოთა კავშირ-ინდოეთის თანამშრომლობის განვითარებისათვის. მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირ-ინდოეთის თანამშრომლობას საერთაშორისო ასპარეზზე.

ნება მიბოძეთ გამოვთქვა იმედი, რომ საბჭოთა კავშირსა და ინდოეთს შორის თანამშრომლობა წლითიწლობით გაიზრდება და განმტკიცდება ჩვენი ქვეყნების ხალხების საკეთილდღეოდ, მთელ მსოფლიოში მშვიდობის ინტერესებისათვის.

გაუმარჯოს ინდოეთის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ხალხების მეგობრობას!

* * *

მისასალმებელი სიტყვების წარმოთქმის შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვი პრეზიდენტ რაჯენდრა პრასადისა და პრემიერ-მინისტრ ჯავაჰარლალ ნერუს თანხლებით ღია მანქანით გაემართა მისთვის განკუთვნილ რეზიდენციაში რაშტრაპატი ბჰავანის სასახლეში. გზაზე აეროდრომიდან რეზიდენციამდე დელის სადღესასწაულოდ მორთულ ქუჩებში ნ. ს. ხრუშჩოვს მხურვალედ მიესალმებოდა ინდოეთის დედაქალაქის დაახლოებით მილიონი მცხოვრები.

## ნ. ს. ხრუშჩოვი ტაშკენტში ჩავიდა

**ტაშკენტი,** 10 თებერვალი. (საქდესი). დღეს ტაშკენტში ჩამოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, რომელიც ინდონეზიაში მიემგზავრება მეგობრობის ვიზიტით ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის სუკარნოს მიწვევით.

ნაშუადღევს აეროპორტში შეიკრიბნენ უზბეკეთის კომპარტიის დღეს გახსნილი XV ყრილობის დელეგატები, რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა, დაწესებულებათა და სასწავლებელთა კოლექტივების მრავალი წარმომადგენელი, ქალაქებისა და სოფლების წარმოგზავნილები.

აეროდრომზე გამოჩნდა საჰაერო ლაინერი „ილ-18“. გავიდა რამდენიმე წუთი და თვითმფრინავი აეროვაგზლის შენობას მოადგა. ნ. ს. ხრუშჩოვი ტრაპზე გამოდის და ალერსიანად იქნევს ხელს. გრიალებს ტაში. მის შესახვედრად მიეშურებიან პიონერები ყვავილთა თაიგულებით.

ნიკიტა სერგის-ძე გულთბილად მიესალმება რესპუბლიკის ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა მუშაკებს. შემხვედრთა შორის იგი ხედავს საბჭოთა მებამბეობის სახელგანთქმულ ოსტატებს, ეხვევა სამგზის სოციალისტური შრომის გმირს ხ. ტურსუნკულოვს, ორგზის სოციალისტური შრომის გმირს კიმ ენ ხვას, ორგზის სოციალისტური შრომის გმირს ს. ურუნხოჯაევს.

შემდეგ ნიკიტა სერგის-ძე მოკლე სიტყვით მიმართავს შეკრებილთ, გულითადად მიესალმება უზბეკეთის მშრომელებს და უსურვებს მათ ახალ წარმატებებს შრომაში და ჯანმრთელობას.

აეროდრომიდან ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანმხლები პირები ქალაქში მიდიან.

ღია მანქანა, რომელშიც არიან ნ. ს. ხრუშჩოვი და უზბეკეთის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი შ. რ. რაშიდოვი, უთვალავ ჩამწკრივებულ ადამიანთა შორის მიდის. განუწყვეტლივ გაისმის მისასალმებელი შეძახილები. ტაშკენტის მშრომელები სულით და გულით უსურვებენ ნიკიტა სერგის-ძეს ჯანმრთელობასა და მრავალ წელს სიცოცხლეს, მისი სახით მიესალმებიან მშობლიურ კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას.

## ნ. ს. ხრუშჩოვის მოგზაურობა

**ტაშკენტი,** 11 თებერვალი. (საქდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში მიემგზავრება, დღეს დილით ტაშკენტიდან დელიში გაემგზავრა.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვთან ერთად გაემგზავრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ნ. ა. მიხაილოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გ. ა. ჟუკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ტ. უ. ულჯაბაევი, აზერბაიჯანის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი ტ. ა. ტაიროვა, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კოლეგიის წევრი ა. მ. მარკოვი და სხვა თანმხლები პირები.

აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო სსრ კავშირისა და უზბეკეთის სსრ სახელმწიფო ალმებით, ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი გააცილეს უზბეკეთის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა შ. რ. რაშიდოვმა, ტაჯიკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. დოდხუდოევმა, უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ და საგარეო საქმეთა მინისტრმა ს. ა. აზიმოვმა, უზბეკეთის კომუნისტური პარტიის ამჟამად ტაშკენტში მიმდინარე XV ყრილობის დელეგატებმა.

**თვითმფრინავი ილ-18.** (საქდესი). 11 თებერვალს დილის სრულ რვა საათზე ტაშკენტის დროით და ხუთ საათზე მოსკოვის დროით ილ-18 თვითმფრინავი, რომლითაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი ვიზიტით მიემგზავრება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში, ტაშკენტიდან გაფრინდა და კურსი აიღო დელისაკენ. 5 საათსა და 45 წუთზე მოსკოვის დროით ჩვენმა თვითმფრინავმა სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვარი გადაჭრა. ჩვენს ქვემოთ არის ჰიმალაის კლდოვანი პიკები, რომლებიც დაფარულია მუდმივი თოვლით. თვითმფრინავი მიდის მოძმე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიის თავზე. ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა გულთბილი მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა სახალხო ჩინეთის ხელმძღვანელებს ამხანაგებს მაო ძე-დუნს, ლიუ შაო-ცის, ჯუ დეს, ჯოუ ენ-ლაის. თვითმფრინავზე ჩვეულებრივი საქმიანი ცხოვრებაა, ფრენა კარგად მიმდინარეობს.

პეკინი

ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეს
**ამხანაგ მაო ძე-დუნს**

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარეს
**ამხანაგ ლიუ შაო-ცის**

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო წარმომადგენელთა სრულიად ჩინეთის კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარეს
**ამხანაგ ჯუ-დეს**

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერს
**ამხანაგ ჯოუ ენ-ლაის**

მივფრინავ რა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიის თავზე, მხურვალე ძმურ სალამს გიძღვნით, ძვირფასო ამხანაგებო, თქვენ და მთელ ჩინელ ხალხს.

სულით და გულით გისურვებთ თქვენ და დიდ ჩინელ ხალხს ახალ, კიდევ უფრო დიდ წარმატებებს სოციალისტურ მშენებლობაში.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობას!

ნ. ხრუშჩოვი.

თვითმფრინავი ილ-18.
1960 წლის 11 თებერვალი.

## ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტი პრეზიდენტ რ. პრასადს

**დელი,** 11 თებერვალი. (საქდესი). დღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა ვიზიტი გაუკეთა ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს რაჯენდრა პრასადს. ნ. ს. ხრუშჩოვს ახლდნენ ა. ა. გრომიკო, ნ. ა. მიხაილოვი, გ. ა. ჟუკოვი, ს. ა. სკაჩკოვი, სსრ კავშირის ელჩი ინდოეთში ი. ა. ბენედიქტოვი და სხვა ოფიციალური პირები.

ინდოეთის მხრივ შეხვედრაზე იყვნენ ინდოეთის ელჩი სსრ კავშირში კ. პ. შ. მენონი და სხვა ოფიციალური პირები.

შეხვედრას განსაკუთრებით მეგობრული ხასიათი ჰქონდა.

## ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტი პრემიერ-მინისტრ ჯ. ნერუს

**დელი,** 11 თებერვალი. (საქდესი). დღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა ვიზიტი გაუკეთა ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ჯავაჰარლალ ნერუს. ნ. ს. ხრუშჩოვს ახლდნენ ა. ა. გრომიკო, ნ. ა. მიხაილოვი და სხვები.

ინდოეთის მხრივ შეხვედრაზე იყვნენ ინდოეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი პილაი, ინდოეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მდივანი დატი, ინდოეთის ელჩი სსრ კავშირში კ. პ. შ. მენონი და სხვა ოფიციალური პირები.

შეხვედრამ მეგობრულ, გულთბილ ვითარებაში ჩაიარა.

## ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტი რადჰაკრიშნანს

**დელი,** 12 თებერვალი. (საქდესი). დღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი ეწვია ინდოეთის ვიცე-პრეზიდენტს რადჰაკრიშნანს მის რეზიდენციაში.

ნ. ს. ხრუშჩოვს ახლდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ნ. ა. მიხაილოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გ. ა. ჟუკოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ს. ა. სკაჩკოვი, სსრ კავშირის ელჩი ინდოეთში ი. ა. ბენედიქტოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ტ. უ. ულჯაბაევი, აზერბაიჯანის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი ტ. ა. ტაიროვა, საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილებათა გამგეები ვ. ი. ლიხაჩოვი და თ. თ. მოლოჩკოვი.

ნ. ს. ხრუშჩოვსა და რადჰაკრიშნანს შორის გაიმართა გულთბილი, მეგობრული საუბარი, რომლის მსვლელობაში რადჰაკრიშნანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინდოელი ხალხი ბედნიერია მიესალმოს ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტს ინდოეთში. ჩვენმა ხალხმა იცის, განაცხადა რადჰაკრიშნანმა, რომ საბჭოთა კავშირის სახით ჩვენ საიმედო მეგობარი გვყავს.

ნ. ს. ხრუშჩოვმა ხელი მოაწერა ინდოეთის ვიცე-პრეზიდენტის საპატიო სტუმართა წიგნში.

## ნ. ს. ხრუშჩოვის საუბარი პრემიერ-მინისტრ ჯ. ნერუსთან

**დელი,** 12 თებერვალი. (საქდესი). დღეს, 12 თებერვალს, ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის რეზიდენციაში გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვისა და ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ჯავაჰარლალ ნერუს საუბარი. საუბრის დროს მოხდა აზრების ფართო გაზიარება როგორც საერთო საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე, ისე საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხებზე.

საუბარი მიმდინარეობდა მეგობრულ და გულთბილ ვითარებაში. სსრ კავშირისა და ინდოეთის მთავრობათა მეთაურებმა აღიარეს, რომ აზრთა გულახდილი გაზიარება სასარგებლო იყო მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცების საქმისათვის.

საუბრის შემდეგ პრემიერ-მინისტრმა ჯავაჰარლალ ნერუმ საუზმე გამართა ნ. ს. ხრუშჩოვისა და მის თანმხლებ პირთა პატივსაცემად.

1960 წლის 15 თებერვალს, დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში შედგება საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების მდივნებისა და იდეოლოგიური დაწესებულებების მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი.

დღის წესრიგი:
სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „თანამედროვე პირობებში პარტიული პროპაგანდის ამოცანების შესახებ“ და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს გულთბილად ხვდება ინდოეთის პარლამენტი

**დელი,** 11 თებერვალი. (საკდესი). დღეს ინდოეთის პარლამენტის ცენტრალურ დარბაზში გაიმართა ორივე პალატის — შტატების საბჭოს და სახალხო პალატის გაერთიანებული სხდომა, რომელზეც ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა მთავრობის მეთაურმა ნ. ს. ხრუშჩოვმა.

პარლამენტის დეპუტატები, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, ინდოელი და უცხოელი ჟურნალისტები ფეხზე მდგომნი ტაშის გრიალით მიესალმნენ საბჭოთა ხალხის წარმომადგენელს ნ. ს. ხრუშჩოვს, რომელიც სხდომათა დარბაზში შემოვიდა.

ნ. ს. ხრუშჩოვმა, პრემიერ-მინისტრმა ნერუმ, შტატების საბჭოს თავმჯდომარემ რადჰაკრიშნანმა და სახალხო პალატის თავმჯდომარემ აიანგარმა დაიკავეს ადგილები პრეზიდიუმში.

ინდოეთის პარლამენტის დეპუტატების სახელით საბჭოთა მთავრობის მეთაურს გულთბილად მიესალმა შტატების საბჭოს თავმჯდომარე — ინდოეთის ვიცე-პრეზიდენტი რადჰაკრიშნანი, რომლის სიტყვის დროსაც არაერთხელ გაისმა ტაში.

შემდეგ მიკროფონთან მივიდა ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი, რომლის პატივსაცემადაც ინდოეთის პარლამენტის დეპუტატებმა ხანგრძლივი ოვაცია გამართეს.

## ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა

პატივცემულო ბატონო თავმჯდომარევ!

პატივცემულო ბატონო პარლამენტის წევრებო!

უწინარეს ყოვლისა ნება მიბოძეთ მადლობა გადავიხადო იმისათვის, რომ შესაძლებლობა მომეცა გამოვიდე ინდოეთის რესპუბლიკის პარლამენტში. ეს მიმაჩნია დიდ პატივად პირადად ჩემთვის და იმ ღრმა მეგობრული გრძნობების გამოხატულებად, რომლებითაც ჩვენი ხალხები ერთმანეთს ეპყრობიან.

სულ ოთხი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც პირველად მქონდა პატივი გამოვსულიყავი ინდოეთის პარლამენტის წინაშე. ოთხი წელი სულ მცირე ვადაა, თუ მას ხალხებისა და სახელმწიფოების ცხოვრების მასშტაბით გავზომავთ. მაგრამ ეს ოთხი წელი თავისი მნიშვნელობით შეიძლება მოვლენებით აღსავსე ჩვენი საუკუნის ზოგიერთ ათეულ წელსაც კი შეედაროს.

განვლილ დროში განუზომლად გაიზარდა ძალები, რომლებიც იბრძვიან მშვიდობისათვის და სხვადასხვა საზოგადოებრივი წესწყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის. ხალხების დაუცხრომელ და თავდადებულ ღონისძიებათა შედეგად შესაძლებელი გახდა მიგვეღწია საერთაშორისო დაძაბულობის ერთგვარი შენელებისათვის. ხალხთა შეგნებაში, იმ პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწეთა გონებაში, რომლებიც დაპირისპირებულ იდეოლოგიურ პოზიციებზეც კი დგანან, სულ უფრო პოულობს აღიარებას ის უცილობელი ჭეშმარიტება, რომ სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა ისტორიული ფაქტია, საარსებო საჭიროებაა, რომელსაც წარმოშობს ადამიანთა საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპი. „პანჩა შილას" პრინციპებმა გზა გაიკაფეს ისტორიაში, და ამაში დიდი დამსახურება მიუძღვის მშვიდობისმოყვარე ინდოეთს.

სწორედ მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების საფუძველზე უნდა გადაიჭრას, ჩვენი მტკიცე რწმენით, ყველა სადავო საერთაშორისო საკითხი. ეს იმას ნიშნავს, რომ მათი გადაჭრის გზა უნდა ვეძებოთ თანასწორუფლებიან საფუძველზე მოლაპარაკების საშუალებით და არა ზეგავლენისა და დიქტატის მეთოდების საშუალებით.

მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლა ადვილი საქმე როდია, რადგან ზოგიერთ სახელმწიფოში ჯერ კიდევ აქტიურად მოქმედებენ გავლენიანი ძალები, რომლებიც დაინტერესებული არიან გამალებული შეიარაღების განგრძობით, საერთაშორისო დაძაბულობის დასახული შენელების ჩაშლით და „ცივი ომის" ახალი გალვივებით. ეს ძალები არ აპირებენ იარაღი დაყარონ, არ აპირებენ უარი თქვან შემდგომ ბრძოლაზე. ამ ძალების საქმიანობა განსაკუთრებით საშიშია ჩვენს დროში — მეცნიერებისა და ტექნიკის უმაგალითო წარმატებათა დროში.

ახლა ხომ ადამიანი თავისი გონებისა და ტექნიკური ხელოვნების ძალით კოსმოსის უსასრულო სივრცეებში შეიჭრა. ახლა ზოგჯერ ისიც კი გვგონია, რომ ადამიანის საქმეები უსწრებენ ფანტაზიას, თუმცა ფანტაზია ყოველთვის წინ უნდა იყოს.

ადამიანის სამსახურში ჩაყენებულ ატომს ჭეშმარიტად შეუძლია სასწაულები მოახდინოს — მისი საშუალებით შეიძლება დავამარცხოთ ადამიანთა უსაშინელესი სნეულებანი, განვახორციელოთ გადატრიალება სოფლის მეურნეობაში, დავნერგოთ ახალი წინათ წარმოუდგენელი საწარმოო პროცესები. აღარას ვამბობ იმაზე რომ ადამიანის მიერ დამორჩილებული ატომი დედამიწაზე ენერგიის გიგანტური წყარო ხდება.

აღმოსავლეთში არსებობს ძველი ლეგენდა სულის შესახებ, რომელიც შემთხვევით ამოუშვეს ბოთლიდან და რომელმაც შემდეგ თავი დააღწია ადამიანისადმი მორჩილებას. მაგრამ ახლა ადამიანმა ბევრი რამ ისწავლა, უფრო ძლიერი გახდა, ატომის ენერგიით აღიჭურვა და მტკიცედ უნდა ეჭიროს ხელში ეს ენერგია.

მეცნიერებამ შექმნა არა მარტო ატომური ელექტროსადგურები და კოსმოსური რაკეტები. მეცნიერებამ აგრეთვე შექმნა წყალბადის ბომბები და ბალისტიკური საკონტინენტთაშორისო რაკეტები სამხედრო დანიშნულებისა, რომლებსაც შეუძლიათ ატომგულის მუხტი მიიტანონ ჩვენი პლანეტის ყოველ პუნქტში. ვინც ახლა მოისურვებს გააჩაღოს ომი, იმის იმედს ვერ იქონიებს, რომ დაუსჯელი დარჩება. თუ წინათ „ძალის პოზიციის" პოლიტიკის ზოგიერთი დამცველი ფიქრობდა, რომ მათ მიერ გაჩაღებული ომის დროს თვითონ უვნებელი გადარჩებოდნენ, ახლა ასეთი იმედი ფუჭი ილუზია გახდა.

უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე ბევრი რამ შეიცვალა აზიის ქვეყნებშიც, რომლებიც ახორციელებენ საკუთარ დამოუკიდებელ ეროვნულ საგარეო პოლიტიკას და მნიშვნელოვნად განიმტკიცეს სახელმწიფო სუვერენიტეტი, შესამჩნევად წაიწიეს წინ ეროვნული ეკონომიკის მშენებლობის გზაზე.

ახლო ისტორიულ პერსპექტივაში ვხედავთ, რომ დადგება ისეთი დრო, როცა აზიის სახელმწიფოები, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ ჩაგრული კოლონიების მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, გვერდში ამოუდგებიან მსოფლიოს მოწინავე სახელმწიფოებს თავიანთი ეროვნული ეკონომიკისა და კულტურის განვითარების დონით. როგორც ბორკილაყრილი პრომეთე, შლიან მძლავრ მხრებს აზიის ხალხები და ახალი ცხოვრების მშენებლობას იწყებენ.

საბჭოთა ხალხს გულწრფელად ახარებს აზიის სახელმწიფოთა დამოუკიდებელი ეროვნული განვითარების წარმატებები და ნათელი პერსპექტივები.

ჩვენ გვახარებს აგრეთვე წარმატებანი აფრიკის ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლისა, რომელნიც ამოძრავდნენ, სულ უფრო აქტიურად ეწევიან ბრძოლას კოლონიზატორთა ბატონობის წინააღმდეგ. საბჭოთა ხალხი ახალ წარმატებებს უსურვებს აფრიკის ხალხებს ამ კეთილშობილურ საქმეში.

ჩვენ გვახარებს, რომ ლათინური ამერიკის ხალხებიც სულ უფრო გაბედულად იბრძვიან თავიანთი ეროვნული და ეკონომიური დამოუკიდებლობისათვის, იბრძვიან უცხო ქვეყნების მიერ დამონების წინააღმდეგ, რა შენიღბული ფორმითაც უნდა ვლინდებოდეს ეს დამონება. ჩვენი სიმპათიები ყოველთვის იყო და იქნება ისეთ სახელმწიფოთა მხარეზე, როგორიც არის კუბა, რომელიც აქტიური ბრძოლით იცავს თავის ეროვნულ და ეკონომიურ დამოუკიდებლობას.

საბჭოთა კავშირი ყოველთვის უწევდა და კვლავაც გაუწევს მეგობრულ, უანგარო დახმარებასა და მხარდაჭერას ყველა ქვეყანას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, საუკუნეობრივი ეკონომიური ჩამორჩენილობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

რასაკვირველია, ერთნაირი საზომით ვერ მივუდგებით მრეწველობის მხრივ განვითარებულ ყველა ქვეყანას. უნდა გავითვალისწინოთ, რომ დიდადგანვითარებული ქვეყნების ერთი ნაწილის ეკონომიური კეთილდღეობა და ცხოვრების მაღალი დონე სწორედ კოლონიური ხალხების ჩაგვრითა და ძარცვით არის მიღწეული. დასავლეთის ზოგიერთი ქვეყანა სწორედ იმიტომ არის განვითარებული, რომ აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნები არ არიან განვითარებული. მხოლოდ სამართლიანი იქნებოდა, რომ დასავლეთის ქვეყნებმა ამჟამად დაუბრუნონ ნაძარცვი სიმდიდრის თუნდაც ნაწილი იმ ხალხებს, რომლებიც წარსულში კოლონიურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ.

სხვა საქმეა საბჭოთა კავშირი. ჩვენი სიმდიდრე, ჩვენი მრეწველობა შექმნილია ისტორიულად უმოკლეს ვადებში საბჭოთა ხალხის დაძაბული შრომის ფასად. თუმცა ჩვენში არ არის ჭარბი კაპიტალები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ სულ უფრო მეტ დახმარებას ვუწევთ სახელმწიფოებს, რომლებსაც ეს ესაჭიროებათ. ამჟამად ბევრ სუსტადგანვითარებულ ქვეყანაში სსრ კავშირის დახმარებით შენდება ასობით სამრეწველო საწარმო, ელექტროსადგურები. ჩვენ გვინდა, რომ ეს ქვეყნები საკუთარ ფეხზე დადგნენ, რომ მათ შექმნან თავიანთი მრეწველობა, რომელსაც შეეძლება აწარმოოს არა მარტო მოხმარების საშუალებები, არამედ წარმოების საშუალებებიც. ეს ხელს შეუწყობს საკუთარი ინდუსტრიული ბაზის შექმნას და სუსტადგანვითარებული ქვეყნების ეკონომიური განვითარების ტემპების დაჩქარებას. ჩვენ იმას ვითვალისწინებთ, რომ ყოველმა ქვეყანამ, რომელიც ცდილობს განიმტკიცოს დამოუკიდებლობა, უნდა განავითაროს თავისი ეროვნული მრეწველობა, თავისი ეკონომიკა, რათა გააუმჯობესოს ხალხის კეთილდღეობა, განავითაროს მისი კულტურა.

ხელს უწყობს რა სუსტად განვითარებული ქვეყნების ეკონომიურ განვითარებას, საბჭოთა კავშირი დახმარებას უწევს, უპირატესად კრედიტებისა და სესხების ფორმით, უაღრესად შეღავათიან პირობებში. ჩვენ ამით მოგებას არ ვიღებთ, რადგან არ შეგვიძლია და არ გვინდა გავმდიდრდეთ იმ ქვეყნების ხარჯზე, რომლებსაც დახმარებას ვუწევთ. ჩვენ ვხელმძღვანელობთ გულწრფელი მისწრაფებით — ყოველი ღონისძიებით შევუწყოთ ხელი ყოფილი კოლონიური ქვეყნების ხალხებს რაც შეიძლება მალე მიაღწიონ ნამდვილ ეკონომიურ დამოუკიდებლობას და მკვეთრად აიმაღლონ ცხოვრების დონე. გასაგებია, რომ ამ სამართლიან საფუძველზე სსრ კავშირის თანამშრომლობა ეკონომიურად სუსტადგანვითარებულ ქვეყნებთან განუხრელად ვითარდება და, როგორც იმედი გვაქვს, კვლავაც განვითარდება.

თქვენს ქვეყანაში, რომლის ხალხსაც საბჭოთა ადამიანები უაღრესად გულითადი გრძნობებით ეპყრობიან, საბჭოთა კავშირის დახმარებით შენდება შავი მეტალურგიის, მძიმე მანქანათმშენებლობის, სამთომომპოვებელი, ნავთობისა და ფარმაცევტული მრეწველობის საწარმოები, თბოელექტროსადგური, ოპტიკური მინის ქარხანა, მიმდინარეობს ნავთობის ბურღვითი დაზვერვა და სხვა სამუშაოები. ინდოეთ-საბჭოთა კავშირის ეკონომიური თანამშრომლობის პირმშო — ბჰილაის მეტალურგიული კომბინატი — ამჟამად მზარდი რაოდენობით უშვებს ფოლადსა და თუჯს, რომლებიც ესოდენ საჭიროა ინდოეთის ეკონომიკისათვის, და სრული საწარმოო ციკლის საწარმო გახდა.

ბჰილაის მეტალურგიული კომბინატი საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობის სიმბოლოა. მე მითხრეს, რომ კომბინატის მთავარმა ინჟინერმა ბ-ნმა პ. დანიმ ბჰილაი შეადარა ყლორტს, რომლისგანაც იზრდება ინდოეთის ინდუსტრიის მძლავრი, დიდი ხე. დიახ, ეს კარგი ყლორტია, რომელმაც ფესვები მაგრად გაიდგა ინდოეთის მიწაში, და ჩვენ გვიხარია, რომ საბჭოთა ადამიანებმა თავიანთი მეგობრული წვლილი შეიტანეს ამ დიდ საქმეში.

ფართო შემოქმედებითი ურთიერთობა, რომელიც ამდიდრებს ჩვენს ორივე ქვეყანას, დამყარდა და ვითარდება და მხოლოდ ის შეიძლება ვისურვოთ, რომ ასე იყოს მომავალშიც. დაე თვითეული ყლორტი განვითარდეს და გადაიქცეს საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობის მძლავრ და მაგარ ხედ. დაე ჩვენი ქვეყნების მეგობრობა მტკიცე იყოს, როგორც ლითონი, რომელსაც ბჰილაის მეტალურგიული კომბინატი უშვებს.

დამოუკიდებელი განვითარების გზაზე დამდგარი ქვეყნების ეკონომიური თანამშრომლობა საბჭოთა კავშირთან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი გახდა ეკონომიურად სუსტადგანვითარებული ქვეყნების ინდუსტრიალიზაციის საქმეში. საბჭოთა კავშირის მიერ სახალხო მეურნეობის განვითარების თავისი შვიდწლიანი გეგმის შესრულების კვალობაზე, გეგმისა, რომელიც ითვალისწინებს ეკონომიკის ახალ მკვეთრ აღმავლობას, ჩვენი ქვეყანა შეძლებს გამოჰყოს დახმარების გასაწევად მატერიალური რესურსების სულ უფრო მზარდი რაოდენობა, კერძოდ, ინდოეთის რესპუბლიკისთვისაც.

საბჭოთა ადამიანები გულწრფელ იმედს გამოთქვამენ, რომ ურთიერთთანამშრომლობა და მეგობრობა ჩვენს ქვეყნებს შორის კვლავაც წარმატებით განვითარდება მშვიდობისა და ნამდვილი ცივილიზაციის ყველა მეგობრის სასიხარულოდ.

საბჭოთა ადამიანებს ახარებს ის წარმატებანი, რომლებსაც ინდოეთის რესპუბლიკამ უკანასკნელ ათ წელიწადში მიაღწია. ჩვენ საკუთარი გამოცდილებით კარგად ვიცით, თუ რა ძნელია ეკონომიური ჩამორჩენილობის დაძლევა, თანამედროვე ინდუსტრიის შექმნა, რომელიც ყოველი სახელმწიფოს დამოუკიდებლობის საფუძველს შეადგენს.

საბჭოთა ხალხმა შექმნა თავისი პირველხარისხოვანი მრეწველობა, დიდი წარმატებები მოიპოვა სოფლის მეურნეობის განვითარებაში, დიდად განავითარა მეცნიერება და კულტურა. ახლა უკვე ყველა აღიარებს, რომ საბჭოთა კავშირი მეორე ადგილზე გამოვიდა მსოფლიოში სამრეწველო წარმოების მოცულობის მხრივ, ხოლო მეცნიერებისა და ტექნიკის მთელ რიგ დარგებში წამყვანი პოზიციები უჭირავს. დედამიწის საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრები, ჩვენი კოსმოსური რაკეტები, რომელთაგან ერთი მზის სისტემის პირველი ხელოვნური პლანეტა გახდა, მეორემ საბჭოთა ალამი მიიტანა მთვარეზე, ხოლო მესამემ საშუალება მოგვცა გადაგვეღო მთვარის უხილავი მხარის ფოტოგრაფიული სურათი, — ყოველივე ეს ჩვენს ქვეყანაში მრეწველობის, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების მაღალი დონის დამაჯერებელი მაჩვენებლებია.

სულ ცოტა ხნის წინათ წარმატებით განხორციელდა მძლავრი საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების გამოცდები, რომლებმაც ცხადყვეს საბჭოთა კავშირის მეცნიერთა ახალი დიდი მიღწევები და საბჭოთა კავშირის უდიდესი შესაძლებლობანი თანამედროვეობის ურთულესი მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემების გადაჭრაში.

ახლა ჩვენი ქვეყანა დიად შვიდწლიან გეგმას ასრულებს. ჩვენ კარგად დავამთავრეთ შვიდწლედის პირველი წელი. გასულ წელს მარტო გეგმის გადაჭარბებით წარმოებულია მეტი სამრეწველო პროდუქცია, ვიდრე ძველი რუსეთი აწარმოებდა მთელი 1913 წლის განმავლობაში. ჩვენი წარმატებები ეკონომიკის განვითარებაში შედეგია მთელი ხალხის აქტივობისა, რომელიც აღფრთოვანებულია მსოფლიოში ყველაზე სამართლიანი და სრულყოფილი საზოგადოების შექმნის იდეებით.

დასავლეთის ქვეყნებში საბჭოთა კავშირის შესახებ დღემდე ავრცელებენ სხვადასხვა სიცრუესა და მონაჭორს, ამტკიცებენ, თითქოს ჩვენს ქვეყანაში არ იყოს დემოკრატია, არ იყოს პიროვნების თავისუფლება. ზოგიერთი სრულ აბსურდამდეც კი მიდის და აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირში თითქმის მონური შრომაა. მაგრამ განა შეუძლია ქვეყანას, რომელშიც ხალხს არა აქვს თავისუფლება, რომელშიც არ არის დემოკრატია, ხოლო პიროვნება დაჩაგრულია, განა შეუძლია ამ ქვეყანას ასე წარმატებით განავითაროს თავისი ეკონომიკა და კულტურა.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ადამიანის უმაღლესი უფლება, რომელიც უზრუნველყოფს მის თავისუფლებას, არის შრომის უფლება, დღისა და ხვალ უზრუნველყოფილი არსებობის უფლება, მისი განთავისუფლება უმუშევრობისა და გაღატაკების საშინელი საფრთხისაგან. პიროვნების თავისუფლების უმაღლესი გამოვლინებაა, ადამიანის უფლებათა გარანტიაა მისი განთავისუფლება იმათ მხრივ ექსპლოატაციისაგან, ვის ხელშიც თავმოყრილია წარმოების საშუალებები, ფაბრიკები, ქარხნები, ბანკები, სახლები, მიწა და მისი წიაღი და ვინც ყოველივე ამას პირადი გამდიდრებისათვის იყენებს.

მუშაობდე თავისთვის და საზოგადოებისათვის და არა ექსპლოატატორებისათვის — ეს მიგვაჩნია ჩვენ ნამდვილ სოციალურ სამართლიანობად, კაცობრიობის მარადიული ოცნების განხორციელებად, ჰუმანიზმის გამოვლინებად.

საბჭოთა კავშირში საქმით ხორციელდება თვითეული მოქალაქის შრომის უფლება, დასვენების, მოხუცებულობაში და ინვალიდობის შემთხვევაში უზრუნველყოფის უფლება, განათლების უფლება. ჩვენი ხალხი თავისუფალია უმუშევრობის შიშისაგან, თვითეულს მიცემული აქვს ფართო შესაძლებლობანი გაშალოს შემოქმედებითი ძალები და ნიჭი.

სოციალიზმის მოწინააღმდეგენი აცხადებენ, საბჭოთა კავშირში, დემოკრატია არ არის, რადგან იქ მხოლოდ ერთი პოლიტიკური პარტია — კომუნისტების პარტია არისო. დიახ, ჩვენში მართლაც ერთი პარტიაა, მაგრამ რით აიხსნება ეს? ეს აიხსნება საზოგადოების მონოლითურობით. ჩვენში დიდი ხანია აღარ არიან ექსპლოატატორული კლასები, არ არის ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია. ჩვენში არ არიან აგრეთვე შუალედური სოციალური ჯგუფები ან ფენები, რომლებსაც რაიმე განსაკუთრებული კლასობრივი ინტერესები ჰქონდეთ. საბჭოთა საზოგადოება არის საზოგადოება მშრომელებისა — მუშების, გლეხების, სახალხო ინტელიგენციისა, რომლებიც გაერთიანებული არიან ინტერესთა ერთიანობით, მიზნის ერთიანობით. საბჭოთა ხალხის ინტერესებს გამოხატავს და იცავს ერთი პარტია — კომუნისტური პარტია. სწორედ ამით აიხსნება, რომ ჩვენს ქვეყანაში არ არიან სხვა პარტიები.

რატომ არის ბურჟუაზიულ საზოგადოებაში რამდენიმე პარტია? იმიტომ, რომ იქ საზოგადოება დაყოფილია სხვადასხვა კლასებად. ზოგიერთი წარმოების საშუალებებს ფლობს, სხვებს კი მხოლოდ სამუშაო ძალა აქვთ. ამიტომ კაპიტალისტთა კლასს ჰყავს თავისი პარტია, მემამულეებს — თავისი, მუშათა კლასი ქმნის თავის პოლიტიკურ პარტიას, მშრომელი გლეხობა, რომელსაც ჩაგრავენ მემამულეები, აგრეთვე იძულებულია დაირაზმოს და შეიმუშაოს ბრძოლის საშუალებანი, შექმნას თავისი პარტია; წვრილი ბურჟუაზია, რომელიც თავს იცავს მონოპოლისტური კაპიტალისაგან, იძულებულია შექმნას თავისი პოლიტიკური ორგანიზაციები; ინტელიგენცია თავისი ინტერესების დასაცავად აგრეთვე ცდილობს ჰქონდეს თავისი პოლიტიკური ორგანიზაციები. ასეთია იმ საზოგადოების განვითარების კანონზომიერებანი, რომელშიც სხვადასხვა კლასები და სოციალური ფენები არიან. აი რით აიხსნება მრავალპარტიულობა.

ხოლო რაც შეეხება სახელმწიფოს მართვის დემოკრატიულ პრინციპებს, უნდა გითხრათ, რომ ბურჟუაზიული დემოკრატიის არც ერთ ქვეყანაში ხალხი არ იღებს ისეთ აქტიურ მონაწილეობას სახელმწიფო საკითხების გადაჭრაში, როგორც საბჭოთა კავშირში. ჩვენს ქვეყანაში სულ უფრო მეტი სახელმწიფოებრივი ფუნქციები გადადის საზოგადოებრივ ორგანიზაციათა, ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთა გამგებლობაში. მაგალითად, ამას წინათ ჩვენში გაუქმდა შინაგან საქმეთა საერთოსაკავშირო სამინისტრო და მისი ფუნქციები გადაეცა ადგილობრივ ორგანოებს.

განა ჩვენი ხალხის ერთიანობასა და საბჭოთა წყობილების დემოკრატიზმს არ მოწმობს ის ფაქტი, რომ ჩვენს ქვეყანაში ამ უკანასკნელ წლებში არ ყოფილა პოლიტიკური მოტივებით სასამართლო პასუხისგებაში მიცემის შემთხვევები. ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის გაუმჯობესების, მისი შეგნებულობის ამაღლების საფუძველზე, რაც იმის შედეგია, რომ საზოგადოებრიობა ფართო მონაწილეობას იღებს სამართლის დარღვევის თავიდან აცილების საქმეში, დამნაშავეობა საბჭოთა კავშირში განუწყვეტლივ მცირდება და სისხლის სამართლის საქმეთა რიცხვი, რომლებსაც სასამართლოები განიხილავენ, მკვეთრად კლებულობს.

ამ უკანასკნელ წლებში საბჭოთა ქვეყანაში განხორციელდა უმნიშვნელოვანესი ღონისძიებანი ჩვენი სახელმწიფოს დემოკრატიული საფუძვლების შემდგომი განვითარებისათვის, გაფართოვდა მოკავშირე რესპუბლიკებისა და ადგილობრივი საბჭოების უფლებები, დიდი გარდაქმნები მოხდა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის მართვის დარგში, სახალხო განათლების საქმეში, გადიდდა პროფესიული კავშირებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლი. სწორედ ამიტომ ჩვენ ვხედავთ საბჭოთა კავშირში ეკონომიკისა და კულტურის ასეთ მძლავრ აღმავლობას, ხალხის მასების პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ზრდას.

ბატონებო!

ოთხ წელიწადზე მეტი ხნის წინათ, როცა მე პირველად ვიყავი ინდოეთში, ბომბეიში წარმოთქმულ სიტყვაში გამოვთქვი აზრი, რომ საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის ურთიერთობა მშვიდობიანი თანაარსებობისა და თანამშრომლობის ნიმუშია. დიდად მოხარული ვარ ერთხელ კიდევ დავადასტურო ეს ახლა, როცა ცხოვრება ჩვენი ხალხების სასარგებლოდ, მშვიდობის სასარგებლოდ მშვიდობიან შემოქმედებითს მოღვაწეობაში საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის ნაყოფიერი თანამშრომლობის ასე მკაფიო მაგალითებს იძლევა.

ინდოეთის რესპუბლიკისა და მისი ხელმძღვანელების გაზრდილი ავტორიტეტის, პრემიერ-მინისტრ ბატონ ნერუს ავტორიტეტის საფუძველია ნეიტრალიტეტის პოლიტიკა, რომელსაც ახორციელებს ინდოეთის მთავრობა, სამხედრო ბლოკებში შეუსვლელობის პოლიტიკა. ეს მოწმობს სიბრძნესა და ძალას.

შექმნილმა პირობებმა საბჭოთა კავშირი და სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნები აიძულა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა აგრესიული სამხედრო კავშირების საპირისპიროდ შეექმნათ ეგრეთწოდებული ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების სამხედრო კავშირი. მაგრამ ჩვენ არაერთხელ გაგვიცხადებია და ახლაც ვაცხადებთ, რომ ბედნიერი ვიქნებოდით მომხდარიყო ყველა სამხედრო ბლოკის ლიკვიდაცია, რადგან ისინი იწვევენ არა მეგობრობას ხალხთა შორის, არამედ საერთაშორისო ურთიერთობის გამწვავებას.

ჩვენ მივესალმებით მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, ბლოკებში მონაწილეობის მიუღებლობის პოლიტიკას, რომელსაც ინდოეთი ახორციელებს.

ჩვენი მხრივ ყოველ ღონეს ვხმარობთ იმისათვის, რომ მივაღწიოთ „ცივი ომის" ლიკვიდაციას, სახელმწიფოებს შორის ნდობის ატმოსფეროს შექმნას, სამხედრო ბლოკების ლიკვიდაციას, სახელმწიფოთა ყველა არმიისა და შეიარაღებული ძალების ლიკვიდაციას, ჩვენ გვინდა, რომ მთელ დედამიწაზე ნამდვილად გამეფდეს მშვიდობა და ხალხთა შორის მეგობრობა.

ორივე ჩვენი ქვეყანა იბრძვის მშვიდობისათვის, „ცივი ომის" წინააღმდეგ. ომის თავიდან აცილების, ომის საფრთხის ლიკვიდაციის ყველაზე რადიკალური საშუალებაა საყოველთაო და სრული განიარაღება. როგორც მოგეხსენებათ, ასეთი საყოველთაო და სრული განიარაღების გეგმა საბჭოთა კავშირმა გასული წლის სექტემბერში შეიტანა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში განსახილველად.

ჩვენ მეტად დიდმნიშვნელოვნად მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XIV სესიამ ერთსულოვნად მიიღო რეზოლუცია, რომელიც იწონებს საყოველთაო და სრული განიარაღების იდეას. ახლა საყოველთაო და სრული განიარაღების საკითხზე გაიმართება მოლაპარაკება სახელმწიფოებს შორის, და მე ნებას მივცემ ჩემს თავს განვაცხადო, რომ საბჭოთა კავშირი ყველაფერს გააკეთებს, რაც მასზეა დამოკიდებული, რათა ეს მოლაპარაკება დამთავრდეს საყოველთაო და სრული განიარაღების ხელშეკრულების შემუშავებით და ხელმოწერით. ჩვენ მზადა ვართ ასეთი განიარაღებისათვის, ამასთან მტკიცე კონტროლის დაწესებით, და საკითხის გადაჭრა ახლა დამოკიდებულია დასავლეთის სახელმწიფოებზე.

ეჭვი არ არის, რომ საყოველთაო და სრული განიარაღების პროგრამის განხორციელება დასაბამს მისცემს და ახალ ეტაპს ადამიანთა საზოგადოების განვითარებაში — მსოფლიოს, სადაც არ იქნება ომები, სადაც არ იქნება ატომური და რაკეტული შეიარაღება.

მტკიცე მშვიდობა საყოველთაო და სრული განიარაღების პირობებში ყველაზე სასიკეთო ზემოქმედებას მოახდენს მსოფლიოს უკლებლივ ყველა ხალხის ცხოვრებაზე. იგი საშუალებას მოგვცემს მსოფლიოში არსებული მთელი რესურსები მოვახმაროთ ადამიანთა მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების უფრო სრულად დაკმაყოფილებას, შექმნის კაცობრიობის ყოველმხრივი პროგრესის უდიდეს შესაძლებლობებს.

დედამიწაზე მტკიცე მშვიდობის დამყარება მძლავრ ბიძგს მისცემს სიღატაკისა და ჩამორჩენილობის, შიმშილისა და სნეულებების, უმეცრებისა და სიბნელის სრულ ლიკვიდაციას, რომლებიც კაცობრიობის შავბნელი თანამგზავრები იყვნენ მისი არსებობის ათასწლეულთა განმავლობაში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ექსპერტთა გამოანგარიშებით, სუსტადგანვითარებულმა ქვეყნებმა ყოველწლიურად 14 მილიარდი დოლარი უნდა დააბანდონ თავიანთ ეკონომიკაში, რათა მოკლე ხანში მოუღონ ბოლო მოწინავე ინდუსტრიული სახელმწიფოებისაგან ჩამორჩენას, ხოლო გამალებული შეიარაღება ყოველწლიურად ნთქამს ას მილიარდამდე დოლარს! მაშ, ნუთუ არ იქნება შესაძლებელი ასი მილიარდი დოლარიდან, რომელსაც საყოველთაო და სრული განიარაღების პირობებში ხელიდან გამოვგლეჯთ ნგრევის ძალებს, თხუთმეტი ან თუნდაც თორმეტი მილიარდი დოლარი გამოვყოთ იმისათვის, რომ გადავჭრათ ასობით მილიონი ადამიანის შიმშილისა და სიღატაკისაგან ხსნის მსოფლიო-ისტორიული ამოცანა!

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობათა მეთაურების მომავალი თათბირი, რომლის მოწვევის შესახებ შეთანხმება ახლა უკვე მიღწეულია, გამოიჩენს კონსტრუქციულ მიდგომას უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო პრობლემების და უწინარეს ყოვლისა განიარაღების პრობლემის გადაჭრისადმი.

საბჭოთა მთავრობა, რომელსაც მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მიაღწიოს საყოველთაო და სრული განიარაღების განხორციელებას და სურს ყოველი ღონისძიებით შეუწყოს ხელი საერთაშორისო შეთანხმების მიღწევას ამ საკითხზე, წლითიწლობით სისტემატურად ამცირებს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნობებს სამხედრო საჭიროებებისათვის. მარტო უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში საბჭოთა შეიარაღებული ძალების რიცხვი ცალმხრივი წესით შემცირებულ იქნა სულ 2 მილიონ 140 ათასი კაცით.

15 იანვარს სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო „კანონი სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ახალი მნიშვნელოვანი შემცირების შესახებ". საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები მცირდება კიდევ 1 მილიონ 200 ათასი კაცით, ესე იგი მესამედით. ამ შემცირების შემდეგ ჩვენი შეიარაღებული ძალების რიცხვი შეადგენს 2 მილიონ 423 ათას კაცს, ესე იგი იმ დონეზე დაბალი იქნება, რომელსაც 1956 წელს დასავლეთის სახელმწიფოები თვითონ მოითხოვდნენ სსრ კავშირისა და

(დასასრული მე-3 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სსრ კავშირი და ინდოეთი—დიდი მეგობრები

## ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლის დასასრული

ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალებისათვის განიარაღების პირველი ეტაპის შემდეგ. საბჭოთა კავშირმა, როგორც ხედავთ, გადაწყვიტა თავისი შეიარაღებული ძალები შეამციროს უფრო მეტი მოცულობითაც კი, ვიდრე დასავლეთის სახელმწიფოების წინადადება ითვალისწინებდა, ამასთან ეს განახორციელა ცალმხრივი წესით.

ჩვენი შეიარაღებული ძალების ახალი შემცირებით ჩვენ დასავლეთის ქვეყნებს ვეუბნებით — მოდით შევთანხმდეთ განიარაღების შესახებ, მოდით გავაკეთოთ ყველაფერი, რათა არ დავუშვათ ომი, მოდით შევეჯიბროთ ერთმანეთს არა შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების გადიდებაში, არამედ ომის წარმოების საშუალებათა შემცირებასა და ლიკვიდაციაში!

ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს, იმედი გვაქვს, რომ სხვა ქვეყნების და უწინარეს ყოვლისა იმ ქვეყნების პარლამენტები და მთავრობები, რომლებსაც აქვთ ყველაზე მეტი სამხედრო ძლიერება, მიბაძავენ ჩვენს მაგალითს და აგრეთვე განახორციელებენ თავიანთი შეიარაღებული ძალების შემცირებას, რითაც გააადვილებენ საყოველთაო და სრული განიარაღების განხორციელებას.

ბატონებო!

სასიხარულო, დიდებული პერსპექტივები ისახება ახლა კაცობრიობის წინაშე. ბედნიერება და მშვიდობა შეიძლება გახდეს და კიდევაც უნდა გახდეს დედამიწაზე ყველა ადამიანის ხვედრი. მაგრამ ამისათვის საჭიროა კაცობრიობა განთავისუფლდეს გამალებული შეიარაღების კოშმარისაგან, საშუალება მიეცეს მთელი მკერდით ჩაისუნთქოს მშვიდობის სუფთა ჰაერი. ამისათვის საჭიროა, რომ მშვიდობა და მეგობრობა ბატონობდეს ყველა ხალხის ურთიერთობაში, როგორც ბატონობს საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის რესპუბლიკის ურთიერთობაში.

ჩვენთვის სასიამოვნოა იმის შეგნება, რომ მსოფლიოს ყველა ადამიანისათვის მტკიცე მშვიდობის უზრუნველსაყოფად ბრძოლის დიად საქმეში საბჭოთა კავშირსა და ინდოეთს საერთო ინტერესები აქვთ. საბჭოთა ხალხი დიდად აფასებს იმ წვლილს, რომელიც ინდოეთს შეაქვს ამ კეთილშობილური ამოცანის განხორციელებაში. ჩვენ მეტად დიდმნიშვნელოვნად მიგვაჩნია ინდოეთის, ისევე როგორც სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოების ღონისძიებანი, რომელთა მიზანია რაც შეიძლება მალე გადაიჭრას ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის სამუდამოდ შეწყვეტის საკითხი. იმედი გვაქვს, რომ ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოსა და ხალხის შემდგომი ღონისძიებანი საშუალებას მოგვცემენ ახლო მომავალში საბოლოოდ დავძლიოთ იმ ძალების წინააღმდეგობა, რომლებიც ხელს უშლიან ამ საკითხის გადაჭრას და სურთ განაგრძონ ჩვენი პლანეტის ატმოსფეროს მოწამვლა ატომგულის საცდელ აფეთქებათა რადიაქტიური ნალექებით.

ვამთავრებ რა ჩემს გამოსვლას, მინდა გამოვთქვა რწმენა, რომ ჩვენი ქვეყნების თანამშრომლობა მშვიდობისათვის, საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის ბრძოლის საერთო საქმეში შემდეგში კიდევ უფრო მჭიდრო და ნაყოფიერი იქნება. ღრმად მწამს, რომ გონების ძალები, მშვიდობის ძალები ბოლოს და ბოლოს დაამარცხებენ ომის ძალებს და უზრუნველყოფენ კაცობრიობის ბედნიერ და ნათელ მომავალს მტკიცე მშვიდობისა და პროგრესის პირობებში.

გაუმარჯოს მშვიდობას დედამიწაზე!

გაუმარჯოს და განმტკიცდეს ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის დიადი მეგობრობა!

მადლობას მოგახსენებთ, ბატონებო, ყურადღებისათვის.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს სიტყვა არაერთხელ შეაწყვეტინეს მქუხარე ტაშით.

* * *

ნ. ს. ხრუშჩოვს მოკლე შესავალი სიტყვით მიმართა სახალხო პალატის თავმჯდომარემ აიანგარმა. მან თავის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინდოეთი მოხარულია მეორედ მიესალმოს ნ. ს. ხრუშჩოვს როგორც დიდი საბჭოთა ხალხის მშვიდობის მოციქულს. აიანგარმა სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტი ინდოეთში ესოდენ ხანმოკლე იქნება. აიანგარის სიტყვის დროს არაერთხელ გაისმა დეპუტატების ტაში.

ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი გულთბილად გამოეთხოვა რადჰაკრიშნანს, აიანგარს და პარლამენტის დეპუტატებს და პრემიერ-მინისტრ ნერუს თანხლებით წავიდა საერთაშორისო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

## ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-ინდოეთის შეთანხმებებს

**დელი**, 12 თებერვალი. (საქდესი). დღეს ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ჯავაჰარლალ ნერუს რეზიდენციაში ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-ინდოეთის შეთანხმებებს ეკონომიურ და კულტურულ საკითხებზე.

შეთანხმებათა ხელმოწერის ცერემონიას დაესწრნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი და ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ჯ. ნერუ.

საბჭოთა კავშირის მხრივ შეთანხმებათა ხელმოწერის ცერემონიას დაესწრნენ — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ნ. ა. მიხაილოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გ. ა. ჟუკოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ს. ა. სკაჩკოვი, სსრ კავშირის ელჩი ინდოეთში ი. ა. ბენედიქტოვი და სხვები.

ინდოეთის მხრივ — მეცნიერული კვლევისა და კულტურის მინისტრი ჰ. ქაბირი, მრეწველობის სახელმწიფო მინისტრი მ. შაჰი, ინდოეთის ელჩი სსრ კავშირში კ. პ. შ. მენონი, ინდოეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი ნ. პილაი, საგარეო საქმეთა მდივანი ს. დატი და სხვები.

ოქმები ხელმოწერილია. ნ. ს. ხრუშჩოვმა, ჯ. ნერუმ, ს. ა. სკაჩკოვმა, ს. კერამ, გ. ა. ჟუკოვმა და ჰ. ქაბირმა მაგრად ჩამოართვეს ხელი ერთმანეთს.

## კომუნიკე

მოლაპარაკების წარმატებით დამთავრების შედეგად 1960 წლის 12 თებერვალს დელში ხელი მოაწერეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობისა და ინდოეთის რესპუბლიკის მთავრობის შეთანხმებას, რომელიც დაიდო 1959 წლის 12 სექტემბრის შეთანხმების განსავითარებლად, რომლითაც სსრ კავშირის მთავრობამ ინდოეთის რესპუბლიკის მთავრობას მისცა კრედიტი 1,5 მილიარდი მანეთის (180 კრორ რუპიის) რაოდენობით.

შეთანხმება აწესებს იმ საწარმოთა სიას, რომლებიც გაფართოვდება ან აშენდება ინდოეთში ურთიერთ თანამშრომლობით ინდოეთის მესამე ხუთწლიანი გეგმის წლებში. ამ საწარმოთა შორის არის:

ბჰილაის მეტალურგიული ქარხნის გაფართოება ფოლადის წარმოების 1-დან 2,5 მილიონ ტონამდე წელიწადში.

ქალაქ რანჩის მძიმე მანქანათმშენებელი და ქალაქ დურგაპურის სამთო-საშახტო მოწყობილობის ქარხნების გაფართოება წელიწადში ორივე ქარხანაში მექანიზმებისა და ნაწარმის 140 ათას ტონა სიმძლავრემდე;

მძლავრი თბოელექტროსადგურების მშენებლობა და გაფართოება;

მძიმე ელექტრომოწყობილობის ქარხნისა და ზუსტი ხელსაწყოების წარმოების ქარხნის მშენებლობა;

ნავთობისა და გაზის საძიებელი და ამოღების სამუშაოები კამბეასა და ინდოეთის სხვა რაიონებში, რომლებსაც განახორციელებს ინდოეთის ნავთობისა და გაზის კომისია.

ხელმოწერილი შეთანხმების შესაბამისად საბჭოთა ორგანიზაციები ტექნიკურ დახმარებას გაუწევენ ინდოეთის ხელისუფალთ საპროექტო-საძიებო სამუშაოთა შესრულებაში, სსრ კავშირიდან აღნიშნული საწარმოებისათვის მიაწოდებენ მოწყობილობასა და მასალას, რომლებიც ინდოეთში არ მოიძებნება, ტექნიკურად ხელს შეუწყობენ მოწყობილობის მონტაჟსა და საწარმოთა ამუშავებას, აგრეთვე ამ საწარმოებში მუშაობისათვის ეროვნული კადრების მომზადებას.

აღნიშნული შეთანხმების დადებისათვის მოლაპარაკება მიმდინარეობდა სრული ურთიერთგაგების სულისკვეთებით, რამაც უზრუნველყო მოლაპარაკების სწრაფად დამთავრება ორივე მხარის დასაკმაყოფილებლად.

მოლაპარაკების მსვლელობაში მხარეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობა წარმატებით ვითარდება და 1960 წლის 12 თებერვალს ხელმოწერილი შეთანხმება წარმოადგენს შემდგომ დიდმნიშვნელოვან ნაბიჯს ორივე ქვეყნის არსებული მეგობრული ურთიერთობის განსამტკიცებლად და განსავითარებლად, და რომ მისი წარმატებით განხორციელება ინდოეთისათვის უზრუნველყოფს ამ ქვეყნის შემდგომი წარმატებით ინდუსტრიალიზაციის ბაზის შექმნას.

შეთანხმებას ხელს აწერენ:

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის დავალებით ს. სკაჩკოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;

ინდოეთის მთავრობის დავალებით — ს. კერა, ინდოეთის მთავრობის მდივანი და მოლაპარაკების კომიტეტის თავმჯდომარე.

## უზბეკეთის კომპარტიის XV ყრილობა

**ტაშკენტი**, 10 თებერვალი, (საქდესი). დღეს მუშაობა დაიწყო უზბეკეთის კომუნისტური პარტიის XV ყრილობამ. უზბეკეთის კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება გააკეთა უზბეკეთის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა შ. რ. რაშიდოვმა.

უზბეკეთის კომუნისტური პარტიის XV ყრილობის დელეგატებს გულითადი მისალმების სიტყვებით მიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა.

მან გულთბილად მიულოცა უზბეკეთის კომუნისტებსა და რესპუბლიკის ყველა მშრომელს დიდი წარმატებანი და უსურვა მათ ახალი გამარჯვებანი სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

დელეგატები და სტუმრები მქუხარე ოვაციით შეხვდნენ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს ყრილობის პრეზიდიუმში გამოჩენისას და მის სიტყვას.

## მოსკოვიდან გაემგზავრა პრეზიდენტი ჯოვანი გრონკი

11 თებერვალს დილით მოსკოველებმა გულთბილად გააცილეს იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ჯოვანი გრონკი.

ბევრი მოსკოველი შეიკრიბა ვნუკოვოს აეროდრომზე.

საპატიო სტუმრის გასაცილებლად მოვიდნენ ამხანაგები ფ. რ. კოზლოვი, ე. ა. ფურცევა, ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ი. გ. ეიხფელდი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ა. თ. ზასიადკო და დ. თ. უსტინოვი, რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ნ. ორგანოვი და სხვები.

პრეზიდენტი ჯოვანი გრონკი თავისი რეზიდენციიდან (კრემლში) ვნუკოვოში ჩავიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარესთან კ. ე. ვოროშილოვთან ერთად.

გაფრენის წინ კ. ე. ვოროშილოვმა და პრეზიდენტმა ჯოვანი გრონკიმ სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

პრეზიდენტთან, მის მეუღლესა და ვაჟთან ერთად სამშობლოში გაემგზავრნენ საგარეო საქმეთა მინისტრი ჯუზეპე პელა და სხვა თანმხლები პირები. (საქდესი).

## თანამშრომლობის განმტკიცება

**დელი**, 11 თებერვალი. (საქდესი). დღეს საღამოს ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა რაჯენდრა პრასადმა სადილი გამართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვისა და მისი თანმხლები პირების პატივსაცემად. სადილზე იყვნენ ა. ა. გრომიკო, ნ. ა. მიხაილოვი, გ. ა. ჟუკოვი, ს. ა. სკაჩკოვი, ი. ა. ბენედიქტოვი, ტ. უ. ულჯაბაევი, ტ. ა. ტაიროვა, ა. მ. მარკოვი და ნ. ს. ხრუშჩოვის სხვა თანმხლები პირები.

სადილზე ინდოეთის მხრივ იყვნენ პრემიერ-მინისტრი ნერუ, ვიცე-პრეზიდენტი რადჰაკრიშნანი, ინდოეთის ცენტრალური მთავრობის მინისტრები, ინდოეთში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები და სხვა ოფიციალური პირები.

სადილმა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

**დელი**, 12 თებერვალი. (საქდესი). სადილის დროს, რომელიც გუშინ გამართა ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა რაჯენდრა პრასადმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის პატივსაცემად, რ. პრასადმა და ნ. ს. ხრუშჩოვმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

## რ. პრასადის სიტყვა

სიტყვა წარმოთქვა რა სადილზე, რომელიც 11 თებერვალს საღამოს გაიმართა რაშტრაპატი ბჰავანის სასახლეში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის პატივსაცემად, ინდოეთის პრეზიდენტმა რაჯენდრა პრასადმა განაცხადა:

ჩვენ დიდ სიამოვნებას გვანიჭებს მივესალმოთ დღეს საღამოს ჩვენ შორის მის აღმატებულებას საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს. ჩვენ დიდი კმაყოფილებით ვიგონებთ, თუ რა ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ინდოელ ხალხზე თქვენმა ვიზიტმა ჩვენს ქვეყანაში ოთხი წლის წინათ. ამ ვიზიტის და თქვენს ქვეყანაში ჩვენი პრემიერ-მინისტრის ვიზიტის შედეგად ინდოეთი და საბჭოთა კავშირი ყოველთვის ცდილობენ უფრო მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდეთ ერთმანეთთან. მართლაც სასიხარულოა ვხედავდეთ, რომ ურთიერთგაგება და ჩვენი ორი ქვეყნის იდეალების, მისწრაფებებისა და მოთხოვნების ურთიერთ აღიარება თანდათან იზრდება. ჩვენი ურთიერთ გაცვლა არ შემოიფარგლება მარტო ეკონომიკისა და მრეწველობის დარგით. ჩვენმა ორივე ქვეყანამ კულტურის მოღვაწეთა რამდენიმე დელეგაციაც გაცვალა.

ერთ დროს იყო ჩვეულება აღემართათ ქვის, აგურისა და მარმარილოს ძეგლები, რათა უკვდავეყოთ დიდი მოვლენები. რა მნიშვნელოვანიც უნდა იყოს ეს ძეგლები თავისთავად, მე მგონია, რომ თანამედროვე ეპოქის ნამდვილი ძეგლები იქნება ახალი საწარმოები და პროგრესი ადამიანთა ეკონომიური და სხვა დარგების ღონისძიებებში, რომლებსაც სხვადასხვა ქვეყნები ახორციელებენ თანამშრომლობის, კეთილი ნებისა და ურთიერთდახმარების საფუძველზე. უმნიშვნელოვანესი აღმოჩენები მეცნიერებაში და თანამედროვე გამოგონებანი ისტორიაში შევლენ მხოლოდ როგორც ადამიანის ცალმხრივი მიღწევები, თუ მათ ვერ დაარწმუნეს ადამიანთა საზოგადოება იმაში, რომ მთელი მსოფლიო ერთი ოჯახია და სხვადასხვა ქვეყნები ამ ოჯახის წევრები არიან. საუკუნეთა მანძილზე მოაზროვნეები და იდეალისტები ხაზს უსვამდნენ ამ კონცეპციას. მაგრამ ის, რაც დღემდე მხოლოდ ფიგურალურად ითქმებოდა, ახლა რეალობა ხდება.

სივრცის დაძლევამ და კომუნიკაციების უფრო სრულყოფილი და უფრო სწრაფი საშუალებების გაჩენამ ხელი შეუწყო იმას, რომ უფრო მჭიდრო კონტაქტები დამყარებულიყო სხვადასხვა ქვეყნების ხალხებს შორის. ამას ხელი უნდა შეუწყოს მეტმა ურთიერთგაგებამ და შემწყნარებლობამ ქვეყნების ურთიერთობაში, რათა ყველა უთანხმოება და დავა მათ შორის აღმოიფხვრას მოლაპარაკების საფუძველზე, ხოლო ძალის გამოყენების ყოველგვარი ცდა კანონგარეშე გამოცხადდეს.

ნება მიბოძეთ, თქვენო აღმატებულებავ, მოგილოცოთ თქვენი ღონისძიებანი, რომლებმაც ესოდენ დიდად შეუწყო ხელი საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და მთავრობათა მეთაურების შეხვედრებს უმაღლეს დონეზე მსოფლიოს განიარაღებისა და მშვიდობის შენარჩუნების პრობლემების გადაჭრის მიზნით.

ჩვენ წინათ ვამბობდით, და დღესაც მინდა გავიმეორო, რომ ჩვენი ქვეყნის ხალხი აფასებს თქვენს ინიციატივას ამ მიმართულებით. ჩვენ მივესალმებით ამ ტენდენციებს და პირდაპირ კონტაქტებს დიდ სახელმწიფოთა ხელმძღვანელებს შორის და წარმატებას გისურვებთ თქვენს ღონისძიებებში, რომლებიც, დარწმუნებული ვართ, ნაკარნახევია იმ გულწრფელი სურვილით, რომ შეწყდეს გამალებული შეიარაღება და განმტკიცდნენ საყოველთაო მშვიდობის ძალები.

ჩვენ მადლობელი ვართ თქვენი აღმატებულებისა იმის გამო, რომ გამოეხმაურეთ ჩვენს მოწვევას და ჩამოხვედით აქ, და დიდ სიამოვნებას მგვრის მოგესალმოთ ჩვენი ქვეყნის ხალხის სახელით და ჩვენი მთავრობის სახელით.

დაე თქვენმა ღონისძიებებმა, რომელთა მიზანია დიდი ურთიერთგაგების მიღწევა ქვეყნებს შორის და მტკიცე საყოველთაო მშვიდობის დამყარება, გამოიღოს ნაყოფი და დაე მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელი წლების დიდმა მიღწევებმა ბედნიერება და აყვავება მოუტანოს ადამიანსა და ადამიანთა საზოგადოებას. ასეთია ჩვენი სურვილი და ასეთია ჩვენი ლოცვა.

## ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

პატივცემულო ქალბატონებო და ბატონებო!

გამახარა კეთილმა სიტყვებმა, რომლებიც აქ წარმოთქვა ბ-ნმა პრეზიდენტმა საბჭოთა კავშირის, ჩვენი მთავრობის მიმართ. ჩვენ დიდად ვაფასებთ მეგობრულ ურთიერთობას, რომელიც ინდოეთთან დავამყარეთ. პრინციპები, რომლებითაც ჩვენ ვხელმძღვანელობთ ჩვენი სახელმწიფოების მშენებლობაში, რა თქმა უნდა, ბევრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მაგრამ ამან ოდნავაც არ უნდა შეუშალოს ხელი ჩვენი ხალხების მეგობრობას და ჩვენი სახელმწიფოების, მთავრობების მეგობრობას. ჩვენი მთავარი მიზანი ერთია. ეს არის მშვიდობის უზრუნველყოფა მთელ მსოფლიოში. და ჩვენ დიდად ვაფასებთ იმას, რომ ინდოეთის რესპუბლიკა განუხრელად მიდის ხალხთა, სახელმწიფოთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის უზრუნველყოფისათვის ბრძოლის გზით, მიუხედავად ამ სახელმწიფოთა პოლიტიკური და საზოგადოებრივი წყობილებისა.

ჩვენს ურთიერთობას ინდოეთის რესპუბლიკასთან მეტად დიდად ვაფასებთ და მიგვაჩნია, რომ ეს ურთიერთობა კარგია. მშვიდობის განმტკიცების თითქმის ყველა საკითხში. რომლებსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია განიხილავს. აგრეთვე ბევრ სხვა საერთაშორისო საკითხში ჩვენ არასოდეს არ გვქონია აზრთა სხვადასხვაობა ინდოეთთან. ვიცნობ და ვგრძნობ რა თქვენი მთავრობის პოლიტიკის მშვიდობისმოყვარულ მიმართულებას, მთავრობისა. რომელსაც სათავეში უდგას ჩვენს მიერ პატივცემული ბ-ნი ნერუ, მე მექმნება ასეთი შთაბეჭდილება: ჩვენი ურთიერთობა ახლა ისეთია, რომელიც იძლევა თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცებისა და ურთიერთდახმარების დიდ იმედს.

პატივცემულო მეგობრებო! საბჭოთა კავშირის ხალხებმა ბევრი შრომა მოანდომეს თავიანთ ინდუსტრიალიზაციას. ჩვენ ბევრი ტანჯვა განვიცადეთ, დიდი გაჭირვება გადავიტანეთ, როცა საკუთარ სამამულო მრეწველობას ვქმნიდით. საბჭოთა ადამიანები შეგნებულად ითმენდნენ ამ გაჭირვებას, უსაჭიროეს რამეს იკლებდნენ, იმიტომ რომ კარგად ესმოდათ, რომ მხოლოდ საკუთარი ეკონომიკის განვითარებით, უწინარეს ყოვლისა ჩვენი ქვეყნის მძიმე მრეწველობის განვითარებით, ესე იგი საკუთარი მრეწველობის შექმნით, რომელიც აწარმოებს წარმოების საშუალებებს, — მხოლოდ ამ პირობით შეუძლია საბჭოთა კავშირს გაძლოს როგორც დამოუკიდებელმა სახელმწიფომ, მხოლოდ ამ პირობით შეუძლია სწრაფად და განუხრელად ვითარდებოდეს და თავის განვითარებაში მიაღწიოს ისეთ დიდ შედეგებს, რომლებსაც ისახავდნენ ჩვენი ხუთწლიანი გეგმები. და საბჭოთა ადამიანები არ მოტყუებულან თავიანთ იმედსა და მოლოდინში — მათ ისტორიულად მოკლე ვადაში შექმნეს თავიანთი მსხვილი თანამედროვე ინდუსტრია, თავიანთ განვითარებაში გაუსწრეს ბევრ დიდად განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანას. მსოფლიოში მეორე ადგილზე გამოვიდნენ სამრეწველო წარმოების მხრივ და ახლა დაისახეს ამოცანა — გაუსწრონ ამერიკის შეერთებულ შტატებსაც.

ამიტომ ჩვენთვის განსაკუთრებით გასაგები და ახლობელია ინდოეთის მთავრობის ის მისწრაფება, რომ შექმნას თავისი სამამულო მრეწველობა. ჩვენ თანაგიგრძნობთ ამ საქმეში, რადგან თვითონ გამსჭვალული ვართ ინდუსტრიული განვითარების იდეით და, როგორც მოგეხსენებათ, ამ საქმეში დიდ შედეგებს მივაღწიეთ. აი ამიტომ ხალისით გეხმარებით შექმნათ თქვენი საკუთარი მრეწველობა, გიზიარებთ ჩვენს გამოცდილებას, მატერიალურ შესაძლებლობებს, რომლებიც ჩვენს ქვეყანას აქვს.

ჩვენთვის მეტად სასიამოვნოა იმის შეგნება, რომ გიწევთ შეძლებისდაგვარ დახმარებას ინდოეთის ინდუსტრიის შექმნაში და განსაკუთრებით სასიამოვნოა იმის გაგონება, რომ თქვენ დიდად აფასებთ ჩვენს დახმარებას. თქვენ, ბ-ნო პრეზიდენტო, ახლა ძალიან კარგად თქვით ეს, დიდი გულთბილობითა და გაგებით დააფასეთ ჩვენი მეგობრული ღონისძიებანი. კეთილშობილურ საქმეს, რომელსაც ინდოეთის მთავრობა თავისი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის, სამამულო ეკონომიკის განვითარებისათვის, კულტურის ამაღლებისათვის აკეთებს, საბჭოთა კავშირი ეპყრობოდა და ეპყრობა სრული გაგებით და თანაგრძნობით და ყოველ ღონისძიებას იხმარს, რაც ძალუძს, რომ დაგეხმაროთ, გაგიზიაროთ ჩვენ მიერ შეძენილი გამოცდილება, თუ მოისურვებთ ამ გამოცდილების გამოყენებას.

ჩემთვის სასიამოვნოა აღვნიშნო საბჭოთა კავშირის ღონისძიებათა ის მაღალი შეფასება მშვიდობისათვის ბრძოლაში, რომელიც ბ-ნმა პრეზიდენტმა გამოთქვა თავის სიტყვებში. ჩვენი ქვეყანა მართლაც იღებს ყოველ ღონისძიებას, რაც მასზეა დამოკიდებული, რომ უზრუნველყოს მშვიდობა. მაგრამ შეუძლებელია მშვიდობის უზრუნველყოფა მხოლოდ შელოცვით და მოწოდებით. მშვიდობისათვის გვიხდება შეუპოვარი ბრძოლა. ჩვენ ამ ბრძოლას ვეწევით. მაგრამ მე წინ ვიხედები დაიმედებული, მიმაჩნია, რომ მშვიდობის პერსპექტივები კარგია. ახლა მსოფლიოში შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, ძალთა ისეთი თანაფარდობა, თუ მხედველობაში ვიქონიებთ ორი ბანაკის არსებობას, რომ მხოლოდ გიჟებს შეუძლიათ გაბედონ ომის დაწყება სახელმწიფოთა სოციალური წყობილების შესახებ დავის გადასაჭრელად თუ სხვა მოტივებით.

ომი კატასტროფა იქნებოდა კაცობრიობისათვის. შეიძლება ვილაპარაკოთ იმაზე, რომ ეს კატასტროფა სხვადასხვანაირად მოახდენს გავლენას მხარეებზე — ერთი მხარე, რა თქმა უნდა, მეტს დაკარგავს, მეორე კი — ნაკლებს. მაგრამ საქმე ეს როდია. ახლა საქმეს ნუ მივუდგებით კომერციულად და ნუ ვიანგარიშებთ, თუ რა ზარალი მოუვა ამა თუ იმ მხარეს. ომი უბედურება იქნებოდა დედამიწის ყველა ხალხისათვის. ამიტომ ჩვენი მხრივ ყოველ ღონისძიებას ვიღებთ, რათა არ დავუშვათ ეს კატასტროფა. ჩვენ ვიბრძვით განიარაღებისათვის, გვინდა, რომ ხალხის ძალები, რომლებიც შეიარაღების შესაქმნელად იხარჯება, მოხმარდეს მშვიდობის მიზნებს. ჩვენ გვინდა შეიარაღების ლიკვიდაცია და, ამრიგად, უზარმაზარი მატერიალური სახსრების განთავისუფლება, რომლებიც შეიძლება მოხმარდეს ყველა ქვეყნის ცხოვრების დონის ამაღლებას.

ჩვენს ქვეყანაში დიდად აფასებენ ინდოეთის როლს მშვიდობისათვის ბრძოლაში, ინდოეთის მთავრობის და განსაკუთრებით მისი მეთაურის ბ-ნ ნერუს, ინდოეთის პრემიერ-მინისტრის როლს. ვფიქრობ, რომ იმ პოზიციების დამთხვევა, რომლებიც ბევრ საერთაშორისო საკითხში ინდოეთსა და საბჭოთა კავშირს უჭირავთ მშვიდობისათვის ბრძოლაში, გამოიწვევს ჩვენს კიდევ უფრო მეტ ურთიერთგაგებას და მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას.

ვადღეგრძელოთ დიდი ინდოელი ხალხი, ინდოეთის რესპუბლიკის მთავრობა, მთავრობის მეთაური — პრემიერ-მინისტრი ნერუ! (ტაში).

# საზეიმო-სამოქალაქო დარბაზობა დელიში

დელი, 12 თებერვალი. (საკდესი). დღეს ინდოეთის დედაქალაქ დელის მცხოვრებლებმა საზეიმო სამოქალაქო დარბაზობა მოაწყვეს საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის პატივსაცემად.

დარბაზობის დაწყებამდე უკვე რამდენიმე საათით ადრე რამლილა რამზნზე — უზარმაზარ მოედანზე [illegible] ძველი და ახალი დელის საზღვარზე [illegible] შეიკრიბნენ [illegible].

[illegible] ალმები; ასობით ალამი ფრიალებს მოედანზე.

17 საათი და 15 წუთია. ტრიბუნაზე ადიან ნ. ს. ხრუშჩოვი და ჯ. ნერუ. ყველანი, ფეხზე მდგომნი, მქუხარე ტაშით ხვდებიან საბჭოთა ხალხის წარმოგზავნილს.

ქალაქ დელის მერმა ტრილოკ ჩანდმა ინდური ჩვეულების მიხედვით ნ. ს. ხრუშჩოვს ტაშის გრიალში ყვავილწნული ჩამოჰკიდა.

შემდეგ ჩამოვარდნილ სიჩუმეში ქალთა გუნდი ასრულებს მისასალმებელ სიმღერას, რომელიც გამოხატავს საბჭოთა ხალხისადმი, საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვისადმი ინდოელი ხალხის სიყვარულის გრძნობებს.

მისასალმებელ ადრესს ქალაქ დელის მოქალაქეთაგან კითხულობს ქალაქის მერი ტრილოკ ჩანდი.

ტრილოკ ჩანდმა ნ. ს. ხრუშჩოვს მიართვა მისასალმებელი ადრესი და ქაშმირის ძველისძველი ნავის მოდელი, რომელიც ოსტატურად შეუსრულებიათ საუკეთესო ინდოელ ოსტატებს სპილოს ძვლისაგან.

მიკროფონთან მიდის ნ. ს. ხრუშჩოვი. უზარმაზარ მოედანზე კვლავ გაისმის მქუხარე ტაში. ინდოეთის დედაქალაქის მოქალაქენი ყურადღებით ისმენენ ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლას.

ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა განუწყვეტელ ტაშის გრიალში პრემიერ-მინისტრს ჯავაჰარლალ ნერუს გადასცა იმ ალმის მაკეტი, რომელიც საბჭოთა კოსმოსურმა რაკეტამ მთვარეზე მიიტანა.

შემდეგ გამოდის ჯავაჰარლალ ნერუ.

შეკრებილებმა მქუხარე ტაშით გამოხატეს თავიანთი მოწონება პრემიერ-მინისტრის სიტყვის გამო, როცა იგი ნ. ს. ხრუშჩოვს მიესალმა.

სამოქალაქო დარბაზობა, რომელმაც ცხადყო საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის ხალხთა ურღვევი მეგობრობა, დამთავრდა საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის სახელმწიფო ჰიმნების შესრულებით.

სამოქალაქო დარბაზობაში მონაწილეობა მიიღო დელის ნახევარ მილიონზე მეტმა მოქალაქემ.

## ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

პატივცემულო ბატონო პრემიერ-მინისტრო!

პატივცემულო ბატონო ქალაქ დელის მერო!

ინდოეთის რესპუბლიკის სახელოვანი დედაქალაქის ძვირფასო მოქალაქენო!

როცა მოსკოვიდან მოვფრინავდით, იქ ყინვა იყო, გარშემო თოვლი იდო. მაგრამ ზამთრის სიცივე ვერ გააცივებდა იმ გულითადი მისალმების სითბოს, რომელიც მოსკოველებმა მთხოვეს გადმოგცეთ თქვენ.

ვასრულებ ამ განაწესს და გადმოგცემთ, შესანიშნავი ქალაქის დელის მოქალაქენო, მოსკოველების უაღრესად მხურვალე სალამს.

სასიამოვნოა იმის აღნიშვნა, რომ იმ ოთხ წელიწადში რომლებიც გავიდა მას შემდეგ, რაც პირველად ვიმოგზაურე თქვენს სტუმართმოყვარე ქვეყანაში, ჩვენი ქვეყნების მეგობრობა უფრო მეტად განმტკიცდა. ეს სავსებით ბუნებრივია. დიდი ძალა, რომელიც განამტკიცებს ჩვენი ხალხების მეგობრობას, არის ჩვენი საერთო დაინტერესება ბრძოლით კეთილშობილური მიზნისათვის — მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების მიღწევისათვის, სახელმწიფოთა თანამშრომლობის განმტკიცებისათვის მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების საფუძველზე. ჩვენ გვსურს, რომ ომი სამუდამოდ გამოირიცხოს ადამიანთა საზოგადოების ცხოვრებიდან.

საბჭოთა სახელმწიფო თავისი შექმნის პირველი დღიდან, ასრულებდა რა დიდი ლენინის ანდერძს, განუხრელად იბრძოდა და იბრძვის ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისათვის. ჩვენს მტრებს სურდათ აკვანშივე ჩაეხრჩოთ საბჭოთა სახელმწიფო, წაერთმიათ ჩვენი ხალხისათვის მის მიერ მოპოვებული თავისუფლება და დამოუკიდებლობა. საბჭოთა ადამიანებს არაერთგზის მოუხდათ მიეტოვებინათ მშვიდობიანი შრომა და ხელში აეღოთ იარაღი, რათა სამშობლო დაეცვათ აგრესორთა თავდასხმისაგან. მაგრამ მაშინაც კი, როცა ვიბრძოდით, ჩვენს საბრძოლო დროშას ეწერა — „მშვიდობა ხალხებს“.

საბჭოთა კავშირი თანმიმდევრულად ახორციელებს მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას და ყოველ ღონისძიებას იღებს ხალხთა მეგობრობის განმტკიცებისათვის. ჩვენი ხალხი ძლიერ აფასებს იმ დიდ წვლილს მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობისათვის ბრძოლის საქმეში, რომელიც ინდოეთის რესპუბლიკას შეაქვს.

ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს ღონისძიებებს უკვე კარგი ნაყოფი მოაქვს. „ცივი ომისა“ და საერთაშორისო დაძაბულობის შავბნელი ღრუბლები, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში აბნელებდნენ ცის კიდურს, ნელნელა იფანტება. ამ ღრუბლებში გაჩნდა პირველი ჭრილები, რომლებშიც გამოსჭვივის მზის მშვიდობიანი სხივები. ახლა „ცივი ომის“ მომხრეთა შორისაც კი მშვიდობიანი თანაარსებობის იდეა გზას იკაფავს. ისინი იწყებენ იმის შეგნებას, რომ თუ ომი გააჩაღეს, მასში დაიწვიან უწინარეს ყოვლისა მისი ორგანიზატორები და სულისჩამდგმელები.

სამწუხაროდ, მსოფლიოში ჯერ კიდევ არიან ადამიანები, და მეტად გავლენიანი ადამიანები, რომლებიც ილაშქრებენ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების წინააღმდეგ. მაშინ, როცა ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხს სურს საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელება, „ცივი“ და „ცხელი“ ომის მომხრეები აქტიურებენ ისეთი აგრესიული ბლოკების საქმიანობას, როგორიც არიან ნატო, სეატო და სენტო. ისინი წინანდებურადვე ცდილობენ თავისი სახლის სახურავზე აათრიონ „ცივი ომის“ ვირი და არ ფიქრობენ იმაზე, რომ ვირს შეუძლია ჩაამტვრიოს სახურავი და ზიანი მიაყენოს თვით პატრონებს.

არ შეიძლება სათანადოდ არ შევაფასოთ ძალები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას. მათი წინააღმდეგობის დასაძლევად საჭირო იქნება მშვიდობის მეგობართა ახალი ღონისძიებანი.

საბჭოთა კავშირს მიაჩნია, რომ ჩვენს დედამიწაზე მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის უზრუნველყოფის მთავარი პირობაა საყოველთაო და სრული განიარაღების განხორციელება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე საბჭოთა კავშირმა შეიტანა თავისი კონკრეტული წინადადებანი ამ საკითხზე. ჩვენი პროგრამა ითვალისწინებს განიარაღების პრობლემის გადაჭრას ოთხი წლის განმავლობაში. საბჭოთა მთავრობამ თავისი წინადადება განიარაღების შესახებ იმიტომ კი არ შეიტანა, რომ ჩვენი ქვეყანა სუსტია სამხედრო მხრივ. არა, ჩვენი წინადადება შევიტანეთ ისეთ პირობებში, როცა საბჭოთა კავშირმა მოიპოვა თვალსაჩინო წარმატებანი ატომგულისა და რაკეტული იარაღის შექმნის დარგში. საბჭოთა კავშირი ახლა ყველაზე ძლიერი სამხედრო სახელმწიფოა. მაგრამ ჩვენ არა გვსურს ვისარგებლოთ ამ უპირატესობით. მზად ვართ თუნდაც დღეს მოვსპოთ მთელი ჩვენი იარაღი, თუ ამასვე იზამენ დასავლეთის სახელმწიფოები.

საბჭოთა კავშირის მთავრობის სამშვიდობო ინიციატივამ ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის უაღრესად მხურვალე მხარდაჭერა და მოწონება ჰპოვა. ჩვენთვის სასიამოვნოა იმის აღნიშვნა, რომ საბჭოთა წინადადებანი განიარაღების შესახებ მოწონებასა და სრულ მხარდაჭერას პოულობენ ინდოელი ხალხისა და მისი მთავრობის მხრივ. საბჭოთა ხალხი კმაყოფილებით შეხვდა პრემიერ-მინისტრ ბ-ნ ნერუს განცხადებას, იმის შესახებ, რომ საბჭოთა წინადადებანი სწორედ ისეთი გონივრული ღონისძიებაა, რომელიც „ახლა ესაჭიროება მსოფლიოს, ესაჭიროებათ მსოფლიოს უბრალო ადამიანებს“.

საბჭოთა კავშირმა იმისათვის, რომ საქმით დაემტკიცებინა თავისი მისწრაფება განიარაღებისადმი, შეექმნა უფრო ხელსაყრელი ვითარება ჩვენი წინადადებების მისაღებად, ამ ცოტა ხნის წინათ მიიღო დიდმნიშვნელოვანი და კონკრეტული გადაწყვეტილება თავისი შეიარაღებული ძალების 1 მილიონ 200 ათასი კაცით, ესე იგი მესამედით ახალი ცალმხრივი შემცირების შესახებ. საბჭოთა კავშირის ამ მშვიდობისმოყვარულ აქტს მოწონებით ხვდება ყველა ხალხი. იგი სტიმულს აძლევს ასეთსავე კონკრეტულ მიდგომას განიარაღების პრობლემისადმი სხვა სახელმწიფოთა მხრივ და იმედი გვაქვს, რომ ისინი მიბაძავენ ჩვენს მაგალითს.

ძვირფასო მეგობრებო!

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ თქვენს ღონისძიებებს წარმართავთ თქვენი ეროვნული ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის უსწრაფესი განვითარებისათვის და უკვე მოიპოვეთ გარკვეული წარმატებანი. ინდოეთის რესპუბლიკა თავისი გამოცდილებით დარწმუნდა, რომ საკუთარი ეკონომიური დამოუკიდებლობის განმტკიცება შეიძლება მხოლოდ ეროვნული მძიმე ინდუსტრიის შექმნის გზით. რა თქმა უნდა, თქვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გზაზე, როგორც ჩვენ კარგად ვიცით, ცოტა დაბრკოლება და სიძნელე როდი შეგხვდებათ. მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ შრომისმოყვარე და ნიჭიერი ინდოელი ხალხი თავს გაართმევს ამ ამოცანას. თქვენი ქვეყნის ხუთწლიანი გეგმები, რომლებთანაც დაკავშირებულია დიდი იმედი, შესრულებულ იქნება.

საბჭოთა ხალხი გულწრფელად მიესალმება თქვენს წარმატებებს, უხარია თქვენი გამარჯვებანი ეკონომიკის განვითარებაში. ჩვენ ძლიერ კმაყოფილი ვართ, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის დამყარებული ფართო ეკონომიური თანამშრომლობა გეხმარებათ უფრო სწრაფად შექმნათ თქვენი ინდუსტრია. მეტალურგიული კომბინატი ბჰილაიში, აგრეთვე სხვა საწარმოები, რომლების აგებაშიც საბჭოთა კავშირი გეხმარებათ, დიდი ნაბიჯია თქვენი ქვეყნის ინდუსტრიული განვითარების გზაზე.

ჩვენ იმ ქვეყნებისათვის დახმარების გაწევას, რომლებიც დამოუკიდებელი განვითარების გზას დაადგნენ, არ ვუკავშირებთ რაიმე პოლიტიკურ მოთხოვნას, რომელიც არღვევდეს ამ ქვეყნების ხალხთა სუვერენიტეტს და ბღალავდეს მათს ღირსებას. როგორც იცით, ჩვენ სესხებს ვიძლევით მეტად შეღავათიანი პირობებით. საბჭოთა კავშირი დახმარებას უწევს არა მოგების მიღებისათვის. საბჭოთა კავშირის ხალხები, ჩვენი მასწავლებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ანდერძის ერთგულნი, ესწრაფვიან არა მარტო იმას, რომ თვითონ იცხოვრონ კარგად, არამედ იმასაც, რომ ყველა ხალხი კარგად ცხოვრობდეს.

საბჭოთა ადამიანები თავიანთ ღონისძიებებს წარმართავენ ჩვენი სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებისათვის. ოცი და ცოტა მეტი წლის განმავლობაში (მე არ ვთვლი იმ წლებს, რომლებიც დასჭირდა ომებს და მათთან დაკავშირებულ სახალხო მეურნეობის აღდგენას) ჩვენმა ქვეყანამ სავსებით იცვალა სახე. ჩამორჩენილი რუსეთი ჩვენ გადავაქციეთ დიდ მოწინავე სახელმწიფოდ, რომელსაც აქვს დიდადგანვითარებული მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, გადავაქციეთ სახალხო განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ყველაზე მაღალი დონის ქვეყნად. ამჟამად საბჭოთა კავშირში ცხრა დღეში მზადდება იმდენი სამრეწველო პროდუქცია, რამდენსაც რევოლუციამდელი რუსეთი წელიწადში აწარმოებდა.

ახლა საბჭოთა ხალხმა დაისახა ამოცანა — უახლოეს წლებში გაუსწროს ამერიკის შეერთებულ შტატებს და მსოფლიოში პირველ ადგილზე გამოვიდეს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ. ეს შესაძლებლობას მოგვცემს უზრუნველვყოთ ხალხის მსოფლიოში ყველაზე მაღალი ცხოვრების დონე ყველაზე მოკლე სამუშაო დღით. ჩვენ უკვე 1960 წელს ვამთავრებთ ყველა მუშისა და მოსამსახურის გადაყვანას 6-7 საათის სამუშაო დღეზე და ამავე დროს ხელფასის შემდგომ გადიდებას. უახლოეს წლებში შევუდგებით ყველა მუშისა და მოსამსახურის გადაყვანას 5-6 საათის სამუშაო დღეზე, ანუ 6-7 საათის სამუშაო დღეზე კვირაში ორი დასასვენებელი დღით.

შეჯიბრების ყველა წესის მიხედვით ჩვენი გამოწვევა ვაცნობეთ ამერიკის შეერთებულ შტატებს. ჩვენ მათ ვუთხარით: მოდით შევეჯიბროთ ერთმანეთს არა იარაღის წარმოებაში, არამედ მშვიდობიანი ეკონომიკის განვითარებაში. ამით დიდი სარგებლობა ექნებათ ჩვენი ქვეყნების ხალხებს, მთელი მსოფლიოს ხალხებს.

ჩვენ ასეთი შეჯიბრებისა არ გვეშინია და დარწმუნებული ვართ ჩვენს გამარჯვებაში. ხატოვნად რომ ვთქვათ, ჩვენი სოციალისტური ცხენი აღსავსეა ძალებით და უკვე თვალსაჩინოდ უჩვენა მთელ მსოფლიოს თავისი მშვენიერი თვისებანი. რაც შეეხება კაპიტალისტურ ცხენს, რომლითაც შეერთებული შტატები მიდიან, როგორც იტყვიან, „იყო ცხენი და დაჯახრაკდა“ და ორი ფეხით კოჭლობს. უკანასკნელ ექვს წელიწადში საბჭოთა კავშირმა სამრეწველო პროდუქციის წარმოება ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით გაადიდა 71 პროცენტით, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში იგი თითქმის არ გადიდებულა. ასეთია ფაქტები, რომლებსაც ვერსად ვერ გაექცევი.

საბჭოთა კავშირი გაბედულად იცქირება წინ. ამ ცოტა ხნის წინათ შევაჯამეთ ჩვენი შვიდწლიანი გეგმის პირველი წლის შესრულების შედეგები. 1958 წელთან შედარებით სამრეწველო პროდუქციის გამოშვება გადიდდა 11 პროცენტით და მეტით, რამაც გადააჭარბა გეგმის დავალებებს. სოფლის მეურნეობაც დიდ აღმავლობას განიცდის.

ჩვენი დრო მეცნიერებისა და ტექნიკის უმაგალითო გაფურჩქვნის დროა. მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებმა კაცობრიობას თვალუწვდენი ჰორიზონტი გადაუშალეს. გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ მეცნიერებამ და ტექნიკამ ახლა მიაღწია განვითარების ისეთ სტადიას, როცა მათი შესაძლებლობანი პრაქტიკულად უსაზღვრო გახდა. ამ პირობებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საკითხს, თუ რა მიმართულებით მუშაობს მეცნიერთა მძიებელი აზრი — კაცობრიობისათვის მატერიალური და სულიერი სიკეთის გამრავლების მიმართულებით თუ ნგრევისა და მოსპობის მომაკვდინებელი იარაღის შექმნის მიმართულებით. როცა მეცნიერება მშვიდობას ემსახურება, მას კაცობრიობისათვის უდიდესი სიკეთე მოაქვს. ხოლო როცა მეცნიერება ემორჩილება ახალი ომის მომზადების ინტერესებს, მას შეუძლია ხალხებს უდიდესი ბოროტება მიაყენოს.

ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ჩვენი მეცნიერება ემსახურება მშვიდობისა და პროგრესის საქმეს, რომ საბჭოთა მეცნიერებმა, ინჟინრებმა, მუშებმა შეძლეს შეექმნათ მსოფლიოში დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრები და განეხორციელებინათ მათი წარმატებით გაშვება. ჩვენმა კოსმოსურმა რაკეტამ მთვარეზე მიიტანა საბჭოთა ალამი.

ძვირფასო მეგობრებო! საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის რესპუბლიკის მეგობრული პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის ფართო განვითარება, მიუხედავად ჩვენი სახელმწიფოების საზოგადოებრივი წყობილების არსებული განსხვავებისა, ერთხელ კიდევ უჩვენებს მთელ მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს შორის ნაყოფიერი და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის შესაძლებლობას. ჩვენს მეგობრობას საფუძვლად უდევს ერთობლივი ბრძოლა მშვიდობის განმტკიცებისათვის.

დღეს საბჭოთა კავშირის მთავრობასა და ინდოეთის მთავრობას შორის ხელი მოაწერეს შეთანხმებას მილიარდნახევარი მანეთის რაოდენობით კრედიტის რეალიზაციის შესახებ, რომელიც საბჭოთა მთავრობამ ინდოეთის რესპუბლიკას მისცა.

ამ შეთანხმებას, რომელიც მოიცავს საბჭოთა კავშირის ყოველმხრივ ტექნიკურ დახმარებას ინდოეთში ათ უმნიშვნელოვანესი სამრეწველო საწარმოს მშენებლობასა და გაფართოებაში, დიდი მნიშვნელობა აქვს თქვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეში და ინდოეთის მესამე ხუთწლედის გეგმების შესრულებაში.

შეთანხმება ითვალისწინებს თანამშრომლობას ბჰილაის მეტალურგიული ქარხნის, ორი უდიდესი მანქანათსაშენებლო ქარხნის გაფართოებაში, სხვა დიდი ქარხნებისა და ელექტროსადგურების მშენებლობას, ტექნიკურ თანამშრომლობას ნავთობისა და გაზის საძიებელ და მოსაპოვებელ მუშაობაში.

ჩვენ დიდი კმაყოფილებით აღვნიშნავთ ჩვენს სახელმწიფოებს შორის ეკონომიური თანამშრომლობის წარმატებით განვითარებას, რომელიც ემსახურება ჩვენი ქვეყნების ხალხთა ინტერესებს, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების ინტერესებს.

დღეს ხელმოწერილია აგრეთვე შეთანხმება საბჭოთა კავშირსა და ინდოეთის რესპუბლიკას შორის კულტურული და მეცნიერული თანამშრომლობის შესახებ.

ჩვენს ქვეყანაში დიდად აფასებენ ნიჭიერი ინდოელი ხალხის მდიდარ მრავალფეროვან კულტურას და უყვართ იგი. საბჭოთა ხალხები აგრეთვე ამაყობენ თავიანთი დიდი მეცნიერული და კულტურული მიღწევებით. დაე ამ შეთანხმებამ სულიერად გაამდიდროს ჩვენი ორივე ხალხი და წაიყვანოს ისინი კულტურული პროგრესისა და აყვავებისაკენ.

დაე მეგობრობა ჩვენს ქვეყნებს შორის კვლავაც ფართოვდებოდეს და მტკიცდებოდეს ჩვენი ქვეყნების ხალხთა საკეთილდღეოდ, მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის საქმის სასარგებლოდ!

გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის ხალხთა შორის ურღვევ მეგობრობას!

გაუმარჯოს მშვიდობისმოყვარე ინდოელ ხალხს!

ჯეი ჰინდ!

მე დიდ კმაყოფილებას მანიჭებს გადავცე ჩვენს მეგობარს ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ბ-ნ ნერუს იმ ალმის პირი, რომელიც საბჭოთა კოსმოსურმა რაკეტამ მთვარეზე მიიტანა. ამ ალამს გადავცემ როგორც ადამიანთა მეცნიერების პროგრესის სიმბოლოს, როგორც ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრობის სიმბოლოს, მეგობრობისა, რომელიც დღითიდღე მტკიცდება საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის ხალხთა სასიხარულოდ, დედამიწის ყველა ადამიანის საბედნიეროდ, რომელთაც მშვიდობა და აყვავება სურთ.

როცა მე ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიყავი, მკითხეს, ნიშნავს თუ არა საბჭოთა რაკეტის მისვლა მთვარეზე, რომ ჩვენ ვაცხადებთ მთვარეზე ჩვენს საკუთრების უფლებებს. მაშინ მე ვუპასუხე, რომ ჩვენი გამარჯვება მიგვაჩნია საერთოსაკაცობრიო გენიის მიღწევად.

გადავცემ რა ამ ალამს — იმის ზუსტ პირს, რომელიც მთვარეზეა, — ინდოეთის პრემიერ-მინისტრს ბ-ნ ნერუს, როგორც გუშინ ასეთივე ალამი გადავეცი ინდოეთის პრეზიდენტს ბ-ნ პრასადს, ერთხელ კიდევ ვამბობ: რა ბევრის მიღწევა შეუძლია შრომისა და მეცნიერების ადამიანს მეოცე საუკუნეში.

დაე ეს ალამი იყოს ჩვენს ორ დიდ ხალხს შორის კეთილი მეგობრობის კიდევ ერთი ნიშანი.

ჰინდი-რუსი, ბჰაი-ბჰაი! **(შეძახილები შეკრებილთა შორის: ჰინდი-რუსი, ბჰაი-ბჰაი!).**

(ნ. ს. ხრუშჩოვს სიტყვა არაერთგზის შეაწყვეტინეს მქუხარე ხანგრძლივი ტაშით). (საკდესი).

## ნ. ს. ხრუშჩოვი
### საერთაშორისო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

**დელი**, 11 თებერვალი. (საკდესი). დღეს ნაშუადღევს დელის ათასობით მცხოვრები და ინდოეთის სხვადასხვა შტატის გლეხები შეიკრიბნენ საერთაშორისო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ტერიტორიაზე, სადაც პარლამენტში გამოსვლის შემდეგ გაემგზავრა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი. დამსწრენი მქუხარე ტაშით და მისალმების შეძახილებით შეხვდნენ გამოფენის მთავარ შესასვლელთან ღია მანქანის გამოჩენას, რომელშიც იყვნენ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი და ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ. ავტომანქანები, რომლებშიც სხედან საბჭოთა კავშირის მთავრობის მეთაური და ინდოეთის რესპუბლიკის მთავრობის მეთაური და მათი თანმხლები პირები, მიდიან პავილიონისაკენ „ინდოეთი დღეს“.

პატარა მოედანზე პავილიონთან სტუმრებს შეხვდა ინდოეთის სურსათისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო მინისტრი პ. შ. დეშმუკჰი, რომელმაც ნ. ს. ხრუშჩოვს წარუდგინა გამოფენისა და პავილიონის პასუხისმგებელი თანამშრომელნი. ნ. ს. ხრუშჩოვი გულთბილად მიესალმა გამოფენის მუშაკებს. რის შემდეგ სტუმრები შევიდნენ პავილიონის შენობაში.

პავილიონი „ინდოეთი დღეს“ ასახავს მიღწევებს, რომლებიც ინდოელმა ხალხმა მოიპოვა დამოუკიდებლობის წლებში. ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა ყურადღებით დაათვალიერა სქემები და დიაგრამები, რომლებიც გვიხატავენ ინდოეთის სოფლის ცხოვრებას, გვიჩვენებენ, თუ რა ღონისძიებებს ახორციელებს მთავრობა ინდოეთში სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადიდებისათვის, რა ზომებს მიმართავს ახალგაზრდა დამოუკიდებელი სახელმწიფო ინდუსტრიალიზაციის დარგში.

პავილიონიდან წასვლის წინ ნ. ს. ხრუშჩოვმა ხელი მოაწერა საპატიო სტუმრების წიგნში და შემდგომი წარმატებები უსურვა ინდოელ ხალხს დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობაში.

ავტომანქანათა კორტეჟი მიდის საბჭოთა პავილიონისაკენ. საერთაშორისო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის სსრ კავშირის პავილიონის შესასვლელთან საპატიო სტუმრებს ხვდებიან სსრ კავშირის ელჩი ინდოეთში ი. ა. ბენედიქტოვი და პავილიონის ადმინისტრაციის წარმომადგენლები. ნ. ს. ხრუშჩოვი სთხოვს პრემიერ-მინისტრს ჯ. ნერუს და სახელმწიფო მინისტრს პ. შ. დეშმუკჰს პირველნი შევიდნენ საბჭოთა პავილიონში. საპატიო სტუმრები და მათი თანმხლები პირები პავილიონის პირველ განყოფილებაში ათვალიერებენ ატომური ყინულმჭრელის მაკეტს, დედამიწის საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრების მოდელებსა და სხვა ექსპონატებს.

სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის განყოფილებაში სტუმრები გაეცნენ საბჭოთა კოლმეურნე გლეხობის მიღწევებს. ნ. ს. ხრუშჩოვი გულთბილად მიესალმა ყაზახეთის ალმა-ატის ოლქის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ორგზის სოციალისტური შრომის გმირს ნურმოლდ ალდაბერგენოვს, რომელიც დელის საერთაშორისო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ჩამოვიდა, რათა ინდოელ გლეხებს გაუზიაროს თავისი 25 წლის გამოცდილება მეცხოველეობის დარგში. შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვი, ჯ. ნერუ, პ. შ. დეშმუკჰი და სხვები გამოვიდნენ ღია მოედანზე, სადაც ექსპონირებულია საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა.

სულ სხვადასხვა მარკის საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო მანქანების დათვალიერების შემდეგ სტუმრები მივიდნენ მეცხოველეობის განყოფილებაში, სადაც დაათვალიერეს საუკეთესო საბჭოთა ჯიშების მსხვილფეხა და წვრილფეხა რქიანი პირუტყვი, შინაური ფრინველი, ღორები. საბჭოთა პავილიონის დათვალიერება დამთავრდა. ნ. ს. ხრუშჩოვი და ჯ. ნერუ ჩასხდნენ ღია მანქანაში და ტაშის გრიალში დატოვეს საერთაშორისო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ტერიტორია და წავიდნენ პრეზიდენტის სასახლეში.

## ღირსშესანიშნავი თარიღის აღსანიშნავად
### დარბაზობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოში

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩმა სსრ კავშირში ლიუ სიაომ 12 თებერვალს დიდი დარბაზობა მოაწყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს შორის მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ხელმოწერის მეათე წლისთავის გამო.

სტუმართა შორის დარბაზობაზე იყვნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ფ. რ. კოზლოვი, ნ. ა. მუხიტდინოვი.

დარბაზობის დროს, რამაც გულთბილ, გულითად ვითარებაში ჩაიარა, ლიუ სიაომ და ფ. რ. კოზლოვმა მეგობრული სიტყვები წარმოთქვეს. (საკდესი).

რედაქტორის მოადგილე გ. ვარდოსანიძე.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-57-61, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, მეცნიერების, უმაღლესი და საშუალო სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, მუშსოფლკორთა კაბინეტის — 3-08-67, საილუსტრაციო — 3-20-43, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-06-88.

უე 00941 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14. 1